



გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კან. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კან.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში—„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში და „კვადის“ რედაქციაში, სანაირის ქუჩაზე, № 35. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „КВАЛИ“.

შინაარსი: „თქვა და გაიქცა“ ს. უფრიდელისა. — შინაური მიმხილვა. — სხვადასხვა ამბები. — კორესპონდენციები. — რუსეთი. — უცხოეთი. — ფიქრები ი. უვლაშვილისა. — აზრი, მთ. ღ. ანდრეუვის, თარ. ბ. ღამთათიძისა. — ლექსი დ. თამაშვილისა. — ღამა სვირ-სკანადელი, — ლექსი ს. ნაღსანისა. — სამშობლოს ცაზე, რიგოლეტოსი. — ჟურნალ-გაზეთებიდან. — წერილი რედ. მიმართ. — განცხადებანი.

რ ე ლ ა მ ც ი ი ს ა გ ა ნ .

მოვარგონებთ ჩვენ ხელისმომწერლებს, რომ, ვინც ამ თვეში გაზეთის ხვედრ ფულს არ შემოიტანს, მომავალი თვიდან გაზეთი აღარ გაეგზავნება.

ამ წლის მაისის თვეში თფილისში გაიმართება **ქართვალთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ**

სახალხო სეირნობა

საქველმოქმედო ბაზრითურთ.

შემოწირულობათა გამოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კან. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან (ნიკოლოზის ქუჩა, № 21) და ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავდაზნაურობის ქარვასლა).

„თქვა და გაიქცა“.

Гарунъ бѣжалъ быстрѣе лани...

განსვენებულ კ. მამაცაშვილს ხინებულათ დაუხასიათებია თურმე ზოგიერთი ჩვენი თანამედროვე მწერალი: „ბატონო, — უთქვამს, — მწერალია თუ რამე დასწერა, უნდა თავის ნათქვამის დაცვაც შეიძლოს, თორემ ეს რასა გავს, ჩვენ ახალ მწერლებს რომ ვინმე ეტყვის, შეცდი, ეს ასე არ არისო, ის არც კი ცდილობს, რაიმე თავის გასამართლებელი საბუთი მოიყვანოს. თითქო მისი საქმე მხოლოდ თქმა იყო და დასაბუთება კი არა, ის კითხვას, პირდაპირ წამოყენებულს და მისაგან გამოთქმულ აზრის დამარღვეველს, გვერდს უხვევს

და სადღაც სხვაგან გარბის, თითქო აქ არაფერი იყოსო. წერეთ, ბატონო, მაგრამ იცოდეთ, რომ წერასაც თავის უნარი სჭირდება და ნათქვამს დამტკიცება უნდა მოჰყვეს, თორემ თქმა და გაქცევა — ეს ვერაფერი ხელობაა მწერლისათვის“.

ეს სიტყვები გაგვახსენდა „ცნობის ფურცლის“ № 2130-ში მოთავსებულ „პასუხის“ კითხვის დროს. გასულ კვირას ჩვენ გავარჩიეთ ყველა ის შენიშვნები, რომლებიც „ცნობის ფურცელმა“ გამოთქვა ჩვენი წერილის შესახებ — „მამულიშვილობა, ეროვნობა თუ ხალხის სამსახური?“ აი, ამ გარჩევამ გამოიწვია „ცნობის ფურცლის“ ხსენებული პასუხი. ის ერთ კითხვაში სცდილობს ასე თუ ისე თავი გაიმართლოს, მეორეში — ბოდიში მოიხადოს, ხოლო რაც შეეხება დანარჩენს, ის სადღა საგანს გვერდს უხვევს, გაურბის, ცხადათ სცდილობს მიაფუჩჩინოს და მკითხველს დაუმალოს, ერთი სიტყვით იქცევა სწორეთ ისე, როგორც კ. მამაცაშვილის მახვილი დახასიათებით კარგი ხანია ზოგ მაგვარ მწერლებს სჩვევია. ასეთია „ცნობის ფურცლის“ პასუხი. მოგვხსენებთ, რომ მას მედგარი ლოდიკა არც მაშინ შესწევს, როდესაც ფეხქვეშ რაიმე ნიადაგი ეგულდება, ხოლო ამისთანა გასაქირ შემთხვევაში კი, როდესაც თვითონვე გრძნობს ნიადაგის გამოცლას, სულ ებნევა გზა-კვალი, ისე რომ ჩვენთვის ძნელი არ იქნება გაქცეული უკან მოვატრიალოთ და მკითხველის ყურადღება წამ დვილ სადღა კითხვისკენ მივაქციოთ.

ჯერ ენახათ „ცნობის ფურცლის“ თავის მართლება. ყვირილელი მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრის უცოდინარობას გვიკვირებდნო. „დავისახელოს ბ-ნმა ყვირილელმა ერთი გამოკვლევა მაინც ამ ხანისა, რომელიც ღირსია „გამოკვლევის“ სახელისა და მაშინ მუხლმოყრილი ბოდიშს მოვიხდით საზოგადოთ მკითხველისა და ბ-ნ ყვირილელის წინაშე“. როგორ „გამოკვლევებზე“ ლაპარაკობს „ცნობის ფურცელი“? თუ ისეთზე, როგორიც, მაგ., არსებობს საფრანგეთში „დიდ რევოლიუციის“ შესახებ,

სადაც ყოველი კითხვის გადაჭრა და აწონ-დაწონვა დამყარებულია ას და ათას სპეციალურ მეცნიერულ გამოკვლევებზე, მაშინ დიხს, ჩვენ არ გვაქვს გამოკვლევული ჩვენი ცხოვრება მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მაგრამ მაშინ ჩვენ არც ერთი ისტორიული ხანა, წარსული და აწმყო, გამოკვლევული არ გვექონია, და ნუ თუ ეს აძლევს ნებას იმ მწერლებს, რომლებიც ჩვენი საზოგადოების ხელმძღვანელებათ გამოსულან, გაამართლონ სრული თავის უფიცობა ჩვენს წარსულსა და აწმყოში, გამოაცხადონ, ჩვენ არა გვაქვს ჩვენი აზრი ჩვენი ცხოვრების შესახებო? და თუ ეს ასე არ არის, თუ ანაირ გამოკვლევათა უქონლობა არ აძლევს კიდევ საზოგადოების „ხელმძღვანელებს“ უფიცობის უფლებას, მაშინ ისინი ვერც მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრის უცოდინარობას მოიბოდიშებენ. ჩვენი ქვეყნის წარსულში ბევრი რამ ბნელით არის მოცული—ეს მართალია. მართალია ისიც, რომ ჩვენი ისტორია აწი დაიწერება. მაგრამ დღესაც ჩვენ ხელთ გვაქვს იმდენი მასალა, რომელიც ნებას აძლევს მკვლევარს იქონიოს თავის აზრი ჩვენი ცხოვრების ხასიათზე და მიმდინარეობაზე როგორც დღევანდელ ხანაში, ისე, რასაკვირველია, ჩვენ ახლო წარსულში, მე-18 და განსაკუთრებით მე-19 საუკუნეში. დაფუძნებით „ცნობის ფურცელს“ რამდენიმე გამოკვლევას მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრის შესახებ, რომლებიც ჩვენი ფიქრით დღესაც ამ დანიშნულებას ასრულებენ, მაგრამ ესენიც სამწუხაროთ, „კვალის“ თანამშრომლებს, ფ. მახარაძეს („საქართველოს ეკონომ. განვ. მე-XIX საუკ.“), ნ. ჟორდანიას („ეკონომ. განვით. და ეროვნ.“) და სხვებს ამისთანებს ეკუთვნის, ისე რომ, „ბრესის“ არ იყოს, ესეც ალბათ „ნიჭიერათ დაწერილი პოლიემიკური პამფლეტებია და არა მიუდგომელი გამოკვლევა“. კარგი, ვთქვათ, ეს ასეა. მაგრამ არსებობს თუ არა „ცნობის ფურცლისათვის“ სხვა წყაროები ამ ხანის შესასწავლათ—სახელდობრ: შედარებითი მეთოდით, ე. ი. დაპირდაპირება ჩვენი ქვეყნის ცხოვრების სხვა ქვეყნების ცხოვრებასთან და ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ერთი რომელიმე ხანის ამავე ცხოვრების მეორე ხანასთან. განსაკუთრებით უკანასკნელია ნაყოფიერი. დღევანდელ ჩვენს ცხოვრებას თუ კაცი ღრმით ჩაუკვირდა, ის შეამჩნევს ბევრ წარსულით დანატოვარ ნაშთს, რომელიც ახალი ცხოვრების ვითარებით თანდათან ისპობა. ამ მოვლენებს რომ თვალთ ვადადევნოთ, ჩვენ გავარჩევთ წარსულში ისეთ რამეს, რაც მას თავისებურ ხასიათს აძლევდა და მასში მომქმედ ძალას წარმოადგენდა. გარდა ამისა, დღეს არსებობს ჩვენში მთელი ისეთი მივარდნილი კუთხეები, როგორც, მაგ., სვანეთი, სადაც თითქმის ხელუხლებლათ დარჩენილა წარსული ცხოვრება და წყობილება. ყველაფერი ეს ხელს უწყობს მკვლევარს ჩვენი წარსულის და განსაკუთრებით ისეთი ახლო ხანის, როგორც მე-XIX საუკუნის პირველი ნახევარია, გასათვალისწინებლათ. არსებობს კიდევ ათასი „ისტორიული მასალა“ სხვადასხვა დროს დაბეჭდილი ქართულ და რუსულ პერიოდულ გამოცემებში, დოკუმენტები, წერილები, ზეპირგადმოცემები და სხვ. „ვარდ-ბუღბუღის“ და სხვა ასეთი ლექსებიც მეტათ საყურადღებოა ამ ხანის შესასწავლათ, თუმცა ამ ისტორიულ მასალას „ცნობის ფურცელი“ დაცინვით იხსენიებს.

ასე და ამრიგათ, მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი თუმცა სრულათ გამოკვლევული ჯერ არ არის, მაგრამ მის შესასწავლათ დღეს მოიპოვება ჩვენში მრავალი მასალა. შესაძლოა მის შესახებ მკვლევარმა რაიმე გარკვეული აზრი შეამუშავოს და თუ ეს შესაძლოა, მაშასადამე, მწერალისთვის საჯალდებულოც არის. მართალია, „ცნობის ფურცლის“ ბანა-

კიდან არ დაწერილა ამ ხანის შესახებ არა თუ „გამოკვლევება“, „ნიჭიერი პოლიემიკური პამფლეტიც“ კი, მაგრამ ასეც ხომ უმასლობის ბრალი არ არის.

თავის მართლების დროს „ცნობის ფურცელს“ უგონონია, აქ, მგონი, რაღაც ხიფათში გავებიო, და სკდილობს დაიტოვოს რაიმე გამოსავალი. ის ამბობს: „ჩვენ გვექონდა ნათქვამი, სხვათა შორის, რომ მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი ჯერ გამოურკვეველი და შეუსწავლელია და ამიტომ გადაქრით აზრის გამოთქმა მაშინდელ მოღვაწეობაზე ეხლანდელ პირობებში საეჭვოდ მივიჩნეოთ“. არა, ბატონო, საეჭვოდ კი არ მიიჩნეთ, „ყოვლად შეუძლებლათ“ სცანით („ცნობის ფურცელი“ № 2115). ეს ერთი. მეორე ის, რომ თქვენ ეს თქვენნი უცოდინარობა გამოთქვით არა რაიმე წვრილ, დეტალურ კითხვის შესახებ, არამედ ისეთ კითხვაზე, რომელიც ეპოქის საზოგადო ხასიათს შეეხებოდა: მე ვამბობდი, ალ. ჭავჭავაძის ოპტიმისტიური კილო კლასობრივ პსიხოლოგიით აიხსნება და ეთანხმებოდა მაშინდელ გაბატონებულ წოდების ოპტიმიზმს-თქო. თქვენ კი ამ კითხვის შესახებ გამოაცხადეთ, საკუთარი აზრი არა გვაქვს, რადგანაც ამ დროს არ ვიცნობთო.

ანაირათ, „ცნობის ფურცელს“ ეს უკანასკნელი გასავალიც ეზღუდება და ახლა არა დარჩენია-რა, გარდა იმ დაპირების ასრულებისა, რომელიც მან მოგვცა, თუ „გამოკვლევას“ დაგვისახელებო. დასახელებულ ნაწერებს გამოკვლევათ თუ არ იწამებს, ის წყაროები მაინც ხომ მივუთითეთ, რომლებიც დღეს ნებას აძლევს მკვლევარს გარკვეული აზრი იქონიოს მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარზე და საქმეც ხომ ამაში იყო. მაშ დაიჩოქოს „ცნობის ფურცელმა“ და ბოდიში მოიხადოს „საზოგადოთ მკითხველის და ბ-ნ ყვირილელის წინაშე“.

ახლა ვნახოთ, როგორ იხდის „ცნობის ფურცელი“ ბოდიშს. ის ამბობს: „ორ აზროვნობის თავიდან ასაცილებლათ აუცილებელია, რომ მწერალი მკაფიოდ და გარკვეულად გამოთქვამდეს თავის აზრს. უამისოდ ისეთ გარემოებას ექნება ადგილი, როგორც ბ-ნ ყვირილელისა და გ. მუხრანსკის ბრალდება არის. სანამ ჩვენ ამ ბრალდებას წამოვაცუნებდით, რამდენჯერმე გადავიკითხეთ ყვირილელის წერილი, სხვადაც (რედაქციის გარეშე პირებსაც) შევეკითხეთ და როცა დავრწმუნდით (ჩვენდა სამწუხაროთ), რომ მარტო ჩვენ არ გავგიგია ვერე მისი წერილი, გაზეთშიაც გამოავცხადეთ. მაგრამ რაკი ეხლა ავტორი პირდაპირ აცხადებს, რომ მას სულ სხვის თქმა უნდოდა და გ. მუხრანსკისთან საერთო არა აქვს. რა, რომ ალ. ჭავჭავაძის წინათ ხალხმაც დაპკარგა „რაღაც“, სიამოვნებით უკან მიგვაქვს ეს ჩვენი ბრალდება, მით მეტის სიამოვნებით, რამდენათაც ეს ბრალდება მძიმეა“.

გაუგებარი ადამიანი რომ „ცნობის ფურცლის“ რედაქციის გარეშეც ბევრია, ეს ისედაც გვეჯერა, აქ კი იმის დამტკიცება იყო საჭირო, რომ ჩვენს წერილში არსებობდა მართლა ის „ორაზროვნობა“, რომელმაც შეცდომაში შეიყვანა რედაქცია და ტყუილი გაზეთშიაც გამოავცხადებინა. „ცნ. ფურც.“ ამას არ შერება, სამაგიეროთ ის ერთ ტყუილს თხოვს მკითხველის თვალში დანაშაულობის შესამსუბუქებლათ: მის სიტყვებიდან გამოდის, თითქო ჩვენ რაღაც ახალი განცხადებით გავგვეფანტოს წინანდელი წერილის ორ აზროვნობა. ნამდვილათ კი ჩვენ მხოლოთ მივეუთითეთ „ცნობის ფურცელს“ იმ ადგილზე, რომელიც სულ სხვა ფერს აძლევდა „ცნობის ფურცელში“ მოყვანილ ციტატას, ვუთხარით, აი, ეს ადგილი წარმოადგენს კითხვას, გარკვეულათ და პირდაპირ წამოყენებულს, რომელზედაც თქვენგან მოყვანილი ადგილი პასუხს აძლევს თქო, თქვენ კი ამოგლიჯეთ ჩემი პასუხი, შე-

თხზეთ თქვენი კითხვა და გამოაცხადეთ—ეს ყვირილელის კითხვა-პასუხიაო. ეს იყო და ეს, არავითარი ახალი განმარტება ჩვენ არ მიგვიცია, რადგანაც არავითარი ორ-აზროვნობა ჩვენს წერილში არ არსებობდა, და თუ „ცნობის ფურცელი“ მაინც ცდილობს ფარულათ ამის გამოთქმას,—ეს იმიტომ, რომ მას სურს ბოდნიშობის დროსაც შეიმსუბუქოს დანაშაული.

ასეთია „ცნობის ფურცლის“ ბოდნიშობა. ახლა ვნახოთ, როგორ გაურბის ის „სახიფათო კითხვებს“.

„ცნობის ფურცელი“ წინა წერილში ამბობდა, ბ-ნ ყვირილელს ვერ გამოუტყვევია ის კითხვა, თუ როგორ ესმოდა და ესმის ჩვენს მოღვაწეთა ძველ თაობას მამულიშვილობაო. ჩვენ ამაზე ვუპასუხეთ, ისტორიულ ლიტერატურულ კითხვას კი არ ვიკვლევდით, საზოგადოებრივ მოძრაობას ვახსიანებდით-თქო, ამიტომაც უყურადღებოთ დავტოვეთ ძველ თაობის მოღვაწეობა პირველ ხანებში, როდესაც ის პროგრესიული იყო და არავითარ საზოგადოებრივ მოძრაობას სათავეში არ უდგა. ეს რომ ისტორიულ ლიტერატურულ გამოკვლევაში გვექნა, მიუტევებელ ცოდვით ჩაგვეთვლებოდა, რადგანაც მაშინ წმინდა ლიტერატურულ მოძრაობას ისეთივე მნიშვნელობა ექნებოდა, როგორც საზოგადოებრივ ნიადაგზე დამყარებულს-თქო, მაგრამ ჩვენ წერილში კი უნდა პირველი, პროგრესიული ხანა ამ მოღვაწეობის გამოგვეშვა და მხოლოდ მეორე, როგორც საზოგადოებრივ მოძრაობის გამომხატველი, აგველო. აი, ეს მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენგან აკაკის რომანტიკოსობის აღნიშვნას და „ივერიის“ მიმართულებაზე მითითებას-თქო. აქ „ცნობის ფურცელს“ ოთხში ერთი უნდა ექნა. ან დამტკიცებინა ის, რომ ჩვენ ვიკვლევდით არა საზოგადოებრივ მოძრაობას, არამედ ლიტერატურულს; ან ის, რომ პირველი ხანაც ამ თაობის მოღვაწეობის საზოგადოებრივ საფუძველზე იყო დამყარებული; ან ის, რომ არც მეორე ხანა იყო გამომხატველი საზოგადოებრივ კონსერვატიულ მოძრაობის;—ერთი სიტყვით, უნდა დაერღვია ის, რაც „პრესაშია“ დასაბუთებული. და თუ ვერც ერთს ამას ვერ შესძლებდა, მაშინ აქაც თავი შემცდარათ უნდა ეცნო და ბოდნიშო მოეხადა.

არაფერს ამას „ცნობის ფურცელი“ არ შერება. ის ამბობს: „ერთი ეს გვითხარით, ბ-ნო ყვირილელი, ვინ არის ამ საზოგადოებრივ მოძრაობის და მიმართულების გამომთქმელ-გამომხატველი, თუ არ იგივე ლიტერატურული გუნდი? საიდან გაცნო თვითონ ბ-ნი ყვირილელი (თუ მართლა გაცნო) ამ მიმართულებას, მამების „მამულიშვილობას“. დიახ, ამ საზოგადოებრივ მოძრაობის და მიმართულების გამომხატველებათ გახდენ დასახელებული სამოციან წლების მოღვაწენი და როგორც ასეთები, ნახსენებიც იყვენ ჩვენ წერილში, მაგრამ თქვენ ხომ იმას გვეუბნებოდით, რატომ პირველი ხანაც მათი მოღვაწეობის არ დააფასეთო. იმიტომ რომ მაშინდელი მათი პროგრესიული მიმართულება არ ხატავდა საზოგადოებრივ მოძრაობას. აი, კითხვა ასეა დასმული და რათ უხვევთ მას გვერდს, რათ იმეორებთ ჩვენგან ნათქვამს და თქვენი ნათქვამის დამტკიცებას კი არ ცდილობთ?

მაგრამ ყველაზე უფრო აშკარათ და სასაცილოთ „სახიფათო კითხვისგან“ გაქცევა თავს იჩენს „ცნ. ფურცლის“ წერილის Post Scriptum-ში, სადაც რედაქცია ეხება ჩვენს აზრს, „სამოციან წლების“ დასახელებულმა მოღვაწეებმა წინანდელ დროშას ზურგი შეაქციეს-თქო. „ჯერ ერთი ის,—ამბობს რედაქცია,—რომ ავტორი ასეთს თავის აზრს ამყარებს მხოლოდ ნ. ჟორდანიას „პრესაზე“, რომელიც ნიჭიერათ დაწერილი პოლემიკური პამფლეტია და არა მიუღღმელო გამოკვლევა და კრიტიკა ჩვენის პრესისა; მეორე, ნ. ჟორდანიაც რომ მართალი იყოს და ერთსა ან ორ პირს ელაღატოს წინანდელ

დროშისათვის, ეს არ ამტკიცებს ჩვენ „მამების“ ტრფიალობას თავად-აზნაურულ უპირატესობისადმი“. „ჯერ ერთი“ ის,—რომ თუ ნოე ჟორდანიას მართალია, მაშინ „ცნობის ფურცელი“ მტყუანი ყოფილა, რადგანაც სწორეთ იმ მოღვაწეებზე მღებზედაც „ცნობის ფურცელმა“ თქვა, ყოველთვის წინა-აღმდეგი იყვენ თავად-აზნაურობის უპირატესობრივ მდგომარეობისა, ნოე ჟორდანიას ამბობს, ზურგი შეაქციეს წინანდელ დროშასო. მე კი, ათასჯერ ვიმეორებ, „მამების“ სახელით საზოგადოებრივ ჯგუფს ვიხსენიებდი და ამ მოღვაწეებს კი მხოლოდ იმდენათ ვეხებოდი, რამდენათაც ამ საზოგადოებრივ ჯგუფის მიმართულებას მიემხრენ.

„მეორე“ ის, რომ თუ ნ. ჟორდანიას თავის „პრესა“-ში მართალი არ არის, ამას დამტკიცება ეჭირვება და სწორეთ ამ დამტკიცებას გაურბინართ თქვენ.

ამით ვათავებთ „ცნობის ფურც.“ ლაპარაკს. ახლა მკითხველს მივმართავთ. ჩვენ დავინახეთ, რომ ქართულ რედაქციას წარმოდგენაც არ აქვს ჩვენი ცხოვრების ისეთ ხანაზე, ურომლისათაც დღევანდელი ჩვენი ცხოვრების შეგნება ყოველათ შეუძლებელია; ის პირდაპირ აცხადებს, არა თუ მთელი წარსულის შესახებ, არამედ ამ ახლო ხანას შესახებაც ჩემი გარკვეული აზრი არა მაქვსო. ასეთია „ცნობის ფურცლის“ ავლადიდება. და განა გასაკვირელია ამას შემდეგ, რომ ის ვერც ერთ პირდაპირ წამოყენებულ კითხვაზე პასუხის მიცემას ვერ ახერხებს და სცდილობს გვერდი აუაროს? ეს დამართნია მას არა ერთხელ წინეთ (გავიხსენოთ ჭიათურის ისტორია), ეს დაემართა დღესაც და იმედია, აწიც ეს ბედი ეწვევა.

ჩვენ ახლა ვკითხვით მკითხველს, როგორ ფიქრობს, აქვს თუ არა უფლება საზოგადოების „ხელმძღვანელათ“ გამოვიდნენ ამ,—კ. მამაცაშვილის სიტყვის არ იყოს,—„თქვა და გაიქცა“-მწერლებს? აქვს თუ არა უფლება ასეთ მწერლებს კალამი ხელში დაიკაონ?

ყვირილელი.

შინაური მიძინილება.

ყველაფერს ეშველა, ყოველი საქმე გადაწყდა, მარა ქუთაისის ნოქრების უქმედლებით გათავისუფლებას კი არა ეშველა რა. რამდენი ხანია ქალაქის მამები მზრუნველობით გულმოდგინეთ ისმენენ მათ თხოვნას, არჩევენ, კამათობენ, ერთხელ ისეთი ლიბერალობაც კი გამოიჩინეს, რომ ნოქრებიც ადამიანებათ იცენეს, ისეთ ადამიანებათ, რომელთაც, როგორც ყველა სხვა მშრომელს. ნ დღის განუწყვეტელი შრომის შემდეგ ეკუთვნის ერთი დღით დასვენება და რომ გარდა ლუკმა პურისათვის ზრუნვისა მათ, როგორც ადამიანებს, ესაქიროებათ აგრეთვე ზნეობრივ-გონებრივი განვითარება, რისთვისაც, რასაკვირველია, თავისუფალი დროა საჭირო. დიახ, გადაწყვიტეს, რომ ერთი დღით ნოქრების შესვენება სრულ გაკოტრებას და გადატაცებას არ უქადის ჩვენ მრეწველობას, მარა (ჩვენში ყველაფერს ოხერი მარა დაყვება) მათი გადაწყვეტილება ისეთივე დღენაკლული გამოდგა, როგორც ყოველი სხვა მათი საქმენი სამოღვაწონი. მთავრობამ კანონის პარდაპირი აზრის დარღვევით დაინახა კვირა-უქმეობით შუადღემდის სავაჭრო დუქნების გაღება (მამების გადაწყვეტილებით დუქნები უნდა ღია ყოფილიყვენ დღის 8—9 საათამდე), მაშასადამე, ლოლიკა და სალი აზროვნობა მოათხოვდა ნაშუადღევს დაედგინათ ერთი საათის მუშაობა და ამნაირათ კანონიც დაეკმაყოფილებინათ და ნოქრებიც

დაესვენებინათ... მამებმა კი სულ სხვაგვარათ გამოიყენეს მთავრობის დაშლა. მათ მაშინვე გამართეს განგაში, ვიღუბებით, კანონს ჩვენი ხსნა ნდომებია, მრეწველობის აღორძინება, ჩვენ კი მას გვერდს ვუვლიდით, სამშობლოს განსაცდელში ვაგდებდით და ისევ ძველი წესის შემოღება დაუდგენიათ 14 აპრილის კრებაზე. ამნაირათ მათ ლიბერალობაც გამოიჩინეს, თავის ჯიბის ინტერესები კიდევ უფრო დაიცვეს. ესეც ქალაქზე ზრუნვაა ალბათ.

* *

ისე როგორც ქალაქზე ზრუნვა ეთქმის, მაგ., დუშეთის ქ. თვითმართველობის მოქმედებას. ეს საბჭოც თურვით თავგამოდებით ემსახურება ქალაქის ინტერესებს და ქალაქის ათასგვარ საქიროებას იმდენათ მიუზიღნია მისი ყურადღება, რომ ქალაქის ბიბლიოთეკა სრულებით დავიწყებია. წინეთ გამგეობიდან ამ უკანასკნელს 100 მან. სუბსიდიის ეძლეოდა, რითაც ბიბლიოთეკა იძენდა ჟურნალ-გაზეთებს. წელს კი საბჭოს ჟურნალ-გაზეთების კითხვა ზედ მეტ ხილათ უცვნიან, „роскошь“-ათ ჩაუთვლია და ბიბლიოთეკისათვის სუბსიდიის მოცემაზე უარი უთქვამს. ამნაირათ ქალაქის თვითმართველობას საქიროთ არ უცვნიან ქალაქის კულტურულ ზრდასა, მის ზნეობრივ-გონებრივ განვითარებაზე ეზრუნა. იქნება მისთვის უფრო ხელსაყრელიც იყოს მცხოვრებლების უვიცობაში დატოვება. ჩვენში ხომ ასე უფროხიან შეგნებულ გონებას და ფხიზელ კრიტიკას!

* *

ხოლო რა შედეგი შეიძლება მოყვეს ხალხის უვიცობას, მის გაუნათლებლობას, ამას შემდეგი მაგალითი დაგვანახვებს, რომელიც ალექსანდროპოლის მაზრაში მომხდარა. სოფელ ბაადურში მცხოვრებ ვიღაც ასლამაზოვს ეკლესიის კარებთან დაუკლავს თავისი 7 თვის ვაჟი და განუცხადებია, რომ ავთმყოფობის დროს იოანე ნათლის მცემელი გამოამეცხადა, ღმერთთან წამიყვანა, და მითხრა, რომ ვაჟიშვილი გეყოლება და 7 თვის შემდეგ მე შემომწირეო. აი რა ზომამდე შეუძლია მივიდეს კაცის გაუნათლებლობას, გონების და აზრის დაბნელებას. მასში ადვილათ იბუღებს ყოველგვარი ცრუმორწმუნეობა. ადამიანი ქმნის თავის ფანტაზიით რაღაც ოცნებებს და შემდეგ თვითონვე მონათ ხდება მისგანვე შექმნილ ფანტაზიის ნაყოფისა და თავისსავე ოცნებას მსხვერულათ სწირავს თავის შვილს. ხედავ ადამიანის ასეთ გონებრივ სიბრმავეს, სულიერ დაბნელებას, თვალწინ გიდგება გასისხლიანებული უმანკო მსხვერპლი ამ სიბნელებისა და უნებლიეთ გულის სიღრმიდან ამოიძახებ: სინათლე, მეტი, მეტი სინათლე, ამ წყვდიადი ბნელით მოცულ ცხოვრებაში!

* *

ამაზე არა ნაკლები დრამა, ზოგი მხრით კიდევ უარესი კიშინევში დატრიალებულა. გაზეთები გადმოგვცემენ, რომ აღდგომის დღესასწაულებზე გამხეცებული ბრბო დარეგია ებრაელებს და სულ მუსრი გაუვლია ამ უდანაშაულო ხალხისათვის. რამ ააღელვა ეს ხალხი? რამ გამოიწვია ასეთი საზიზღარი მოქმედება? როგორც იგივე გაზეთები გვატყობინებენ, ამის მიზეზათ ზოგიერთი ცრუ პატრიოტ გაზეთების მოქმედება უნდა ჩაითვალოს. ერთი ერის დამცირება და გათახსირება, სრულიადაც არ ნიშნავს მეორის ამადლება-გასპეტაკებას, ერთი ერის მოსპობა კიდევ არ ნიშნავს მეორის ბედნიერებას. ასე მსჯელობს სალი და მიუდგომელი გონება, მარა სულ სხვაგვარათ აზროვნობენ პატრიოტული გაზეთები. მათი

შეხედულობით, ერთი ერის მეორეზე მისევა, ჩაგრული და დაბნელებული ერისთვის ტანჯვა-წვალების მიყენება სამშობლოს დაცვას უდრის, მისი აყვავებისთვის უკუაღივლებს. და ასეთი გაზეთები არსებობენ ჩვენშიც. ასეთი გაზეთები არსებობენ ჩვენშიც. აი ერთ ნაწილს ასეთ გაზეთებისას მიზნათ აუღია ებრაელების დამცირება. რა ქორი გინდა მათ წინააღმდეგ არ ავრცელებდეს ეს გაზეთები ვითომ ებრაელები ქრისტიანების სისხლის მსმელი იყონ, მათი ბედნიერების მომსპობი. არ მოიპოვება ისეთი ცილის წამება, რომელსაც ისინი უარყოფდენ მათ დასამცირებლათ. და აი ასეთ მოქმედებას შედეგათ მოყვება ერთა შორის შუღლი და მტრობა, ქიშპობა და სიძულვილი, რომელიც ხშირათ ასეთ ტრაგიკულ ფორმას იღებს. უფრო სავალალო ის არის, რომ ასეთ მოქმედებას პატრიოტობის სახელით ნათვლენ, მამულიშვილობის ქერქში ხვევენ. ნეტავი რას იტყვიან ჩვენი „მამულიშვილები“, რომელნიც ერთა შორის განხეთქილებას თესვენ და ამით ფიქრობენ სამშობლოს აყვავებას?

სხვადასხვა ამბები.

ბალახანიდან „ნოვ. ობ.“-ს დებეშითატყობინებენ, რომ ზეინკლებმა მანთაშევის ქარხნის ინჟინერი ქალანთაროვი მოკლესო. მკვლელი შეუპყრიათ.

თბილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებამ წლებიდან მოგებიდან სწავლა-განათლების საქმიანთვის გადასდო 3976 მან. 10 კაპ. ეს ფული მთავარ-მართებელს გადაეცემა.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, როგორც „ნოვ. ობ.“-ს შეუტყვია, ნება დაურთავს ყველა საშუალო სასწავლებელში გაიმართოს ხოლმე საუბრები მასწავლებელთა და ბავშვების მშობელთა შორის.

17 აპრილს ახალციხეში საკმაოთ ძლიერი მიწის ძვრა ყოფილა. მიწა იძრა ნაშუალამევის 3 საათზე.

თბილისში მცხოვრები ებრაელები შემოწირულებებს აგროვებენ იმ ებრაელთა დასახმარებლათ, რომელნიც დაზარალდენ კიშინევში ამას წინეთ მომხდარ უწყსოებათა დროს.

თბილისის მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოების წლიური კრება 4 მაისისათვის გადაიდო. როგორც საზოგადოების ანგარიშიდან ჩანს, საზოგადოებას წინეთ ყოლია 383 წევრი, ახლა კი 206 წევრი ყავს. გამგეობას საანგარიშო წელს 113 მთხოვნელისაგან 37 მთხოვნელის სურვილი დაუკმაყოფილებია და ადგილი უშოვნია. სამკითხველოსათვის შეუძენიათ 299 მანათის წიგნი. სამკითხველოთი უსარგებლნია წლის განმავლობაში 276 წევრს, გაუტანიათ წიგნები 5551-ჯერ, სესხი გაუციათ საანგარიშო წელს 7 წევრზე სულ 240 მანათი; შემწეობა გაუციათ 230 მან.; თავშესაფარ ოთახით უსარგებლნიათ 15 წევრს. მოხუც და დაუძლეურებულ ქალთა თავშესაფარის ასამენებელ ფონდის



გასაძლიერებლათ შემოსულა 1343 მ. ამ ქვათ საზოგადოებას აქვს 6390 მან. 83 კაპ. საზოგადოების უკოლაში ყოფილა 26 მოსწავლე. სხვადასხვა წყაროებიდან საზოგადოებას შემოსულია საანგარიშო წელს 3545 მან. 27 კაპ., ხოლო დაუხარჯნია 2299 მან. 33 კაპ.

„ბაკინ. იზგ.“-ში ვკითხულობთ: „კავკასიის მართვა-გამგეობის დებულებათა მე-14 და 35 მუხლების ძალით, შტაბს-კაპიტანი ლისოვსკი, ქუთაისის პოლიციებისტერი, პასუხის გებაში მიეცა იმ დანაშაულობისათვის, რომელიც აღნიშნულია სასჯელთა დებულების მე-338, 347 და 400 მუხლებში, ე. ი. თავის უფლების გადაჭარბებისათვის. უფლების გადაჭარბება გამოიხატა იმაში, რომ ლისოვსკიმ შეურაცხყოფა მიიყენა მოქმედებით დაპატიმრებულ მესხს და უზრდელ სიტყვებით ქუთაისის საპრობილეს უფროსს ბ-ნ მაჰმუდ-ბეგოვს“.

ინჟენერ ქალანთაროვის მოკვლის შესახებ იგივე გაზეთი წერს: „ქალანთაროვი მსახურებდა მანთაშევის ქარხანაში. 21 აპრილს კანტორის ეზოში ქალანთაროვთან მივიდნენ ორი დღის წინეთ დათხოვნილი ზეინკალის შეგირდები, 17—18 წლისანი, შუშელი შახნაზარ შახნაზაროვი და ყაზახელი ზახაროვი და დაუყვირეს: „შენ წავგართვი ლუკმა-პური, ჩვენ სამაგიეროთ სიცოცხლეს გამოგასაღებთო“. ამ სიტყვებთან ერთად ოთხჯერ გაისროლეს რევოლვერი და ქალანთაროვი მუცელში დაჭრეს; შემდეგ მივარდნენ და ხანჯლით ყელი და მუცელი გაუჭრეს. ქალანთაროვის ყვირილზე მოვარდნილი დარაჯიც დაჭრეს; მერე მკვლელნი პოლიციაში წავიდნენ, სადაც დაპატიმრეს კიდევ. ქალანთაროვის მოკვლა ამ რამდენიმე წლის წინათაც განიზრახა ერთმა ზეინკალმა, რომელიც ქალანთაროვს დაეთხოვა მაშინ ამ ზეინკალმა თავში დაჭრა მსუბუქით“.

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ სთხოვა გუბერნატორს ნებართვა საზოგადოების სასარგებლოთ თავად-აზნაურთა ქარვასლის ბაღში სვირნობის გამართვისა ლოტარია-ალეგრიითურთ. როგორც გავიგეთ გუბერნატორს ლოტარიის გამართვის ნება არ მიუცია. გაიმართება მარტო სვირნობა და ბაზარი.

მთავრობას განუზრახავს საქარხნო პოლიციის რეორგანიზაცია და ამ მიზნისთვის პოლიციის დებარტამენტმა რუსეთის ზოგიერთ გუბერნატორებს მოსთხოვა ცნობები ქარხნებისა და მუშების შესახებ. ახლა ასეთი ცნობები თბილისიდანაც მოუთხოვია უნდა შეატყობინონ რიცხვი ქარხნებისა და მუშებისა, შემოსავალი და წმინდა მოგება თვითეულ ქარხნისა და სხვ.

გაზეთ „ბაქოში“ ვკითხულობთ: „ჩვენი მუღმივი თანამშრომლები გ. ე. სტარცევი (Vox) და ა. ი. მათიუშინსკი (მონგოლ, ფანტომ) იძულებული არიან დასტოვონ ბაქო, მარა ამით მათი თანამშრომლობა ჩვენ გაზეთში ღიანი არ შეწყდება“.

პირუტყვთა მფარველ საზოგადოების გამგეობის ერთი წევრი წავიდა სურამს პლანის ასაღებათ და მოსახაზავთ იმ

ადგილისა, რომელიც შესწირა ამას წინეთ სურამის მცხოვრებელმა მურვანიშვილმა.

„მიერ კავკასიის რკინის გზის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ რკინის გზის ყველა უფროს მოხელეებმა მალ-მალე გამოკითხონ მუშებს, უსწორდებიან თავ-თავის დროზე ნარდათ მუშაობის ამღებნი და იჯარაღარნი თუ არა“.

საერო განათლების სამინისტრომ დებუთ აცნობა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, რომ სწავლა ვაჟთა გიმნაზიების 1—7 კლასებსა და რეალურ სასწავლებლის 1—5 კლასებში 20 მაისზე აღრე არ უნდა გათავდესო. დასამთავრებელი ეგზამენები უნდა დაიწყოს პირველ მაისიდან.

კორესპონდენციები.

ბ. ბათომი. 14 აპრილის სხდომასე ბათუმის ქაჯაქის საბჭომ დაადგინა: გაისხნას ქაჯაქის საჯათმეოფოში პირველ სექტემბრიდან კიდევ სამოცი საწოლი, ე. ი. როგორც განზრახული იყო, დაასდეს საჯათმეოფო 120 საწოლით, რომლის შესახასთ გადასდევს უოველ წლიურათ 46.426 მან. 50 კაპ. უოველი ეგნებული ბათუმელი სისარულით შეეკება საბჭოს დადგენილებას. როგორც ვიცით, გასულ წლის ოქტომბრიდან გასხნა ქაჯაქმა ეს საჯათმეოფო 60 საწოლით. დღიდან დაასსების აუარებული აჯათმეოფები მიასწდა საჯათმეოფოს და უაჯაგობის გამო ბეგრი მათგანი იძულებული იუგენ უკან დაბრუნებულოუგენ და თუმცა და ოფიციალურათ სამოცი საწოლით გაისხნა, მარა ამ რიცხვზე არასდეს არ დასუდა; საშუალო რიცხვი 85 იყო და სშირათ ასი და მეტი. ამნაირათ თუმცა ქაჯაქმა დდეს 120 საწოლი დაასს, მარა მოსალოდნელია, რომ აჯათმეოფთა რიცხვი ამ რიცხვზე არ გაჩერდეს მეტადრე ზამთრობით. ბათუმი ბოლოზია (პერტი) და ამიტომ მრავალი უსაქმით დარჩენილი ხაღსი ეტანება მას მეტადრე რუსეთიდან. რასაკვირელია, უსმელუჭმელი და უბინაო ხაღსი უფრო ადვილათ ხდება აჯათ დასეც არის: 95% აჯათმეოფებისა მუშა ხაღსისაგან შედგება. ამისთანა დაწესებულების მარტო დაასსება რადი კმარა, მას უნდა მოაჯა, პატრონობა თაჯა-უურის გდება, რომ საქმე ვეროფანათ წარმოებდეს; და ამისათვის უნდა იზრუნოს ქაჯაქის გამგეობამ. ვერ ვიტყვით, რომ დღემდის ვეროფანათ ოფიციალურს მოწობილი ეს საჯათმეოფო. ამის დასამტკიცებელი საბუთი მრავალი გვაქვს ხელთ, მარა უგელა რომ მოვთვალათ არც დრო და არც ადგილი ნებას არ გვაძლეფს. მიუთითებთ მხლოთ ზოგიერთებსე. მაგ., 1) ამოღენს საჯათმეოფოს არ უაგს სპეციალისტი ტერაპეუტი (შინაგანი სნუელობის ექიმი); ექიმ ქაჯს; რომელიც აკუშერობისა და დელათა სნუელების სპეციალისტია, აბარია აგრეთვე შინაგან სნუელებათა აჯათმეოფები. რასაკვირელია, მან ეს სავანი არ იცის, როგორც რიგია, და მაშასადამე აჯათმეოფებსაც აკლიათ ექიმობა. მათ უფრო საჭიროა ამნაირი სპეციალისტის ელდა, რომ, როგორც ვიცით, ბათუმი ბუდეა ციებ-ცხელების (მალარია), ამიტომაც არის, რომ 2/3 საწოლი მთელი აჯათმეოფებისა შინაგან სნუელებათ უჭირავთ. დაჯასბუთოთ ჩვენი სიტყვები ციფრებით; პირველ იანვრიდან დღემდის საჯათმეოფოში წოლილა 600 აჯათმეოფი, მათ რიცხვში 400-დე შინაგანი სნუელებით ოფიციალან აჯათ. უკეთუ ქაჯაქი არ შეუშინდა ამდენ ხარჯს, ნურც რ-სამ ათას მანათს დაიშურებს ამ კუთილ საქმისთვის.

2) აკერ შეიდი თვე სრულდება, რაც საჯათმეოფო გასხნეს, და როგორც ნამდვილ წყაროდან გადმოგვეცეს, არ ოფიციალარც ერთი მაჯალითი, რომ ექიმებს კონსილიუმი მოქცდინოსთ. მიხედათ არ



ვიცი რას ასახელებენ, შეიძლება შეგნიერებამ უკვე უარყო კანსი-
ლიუმი, მარა არა მგონი. აქ რაღაც სხვა მიზეზი უნდა იყოს. ბო-
რტვი ენები ამბობენ, რომ ექიმებს შორის უდიდესი არის ჩამოვარ-
დნილი და უმთავრესი მიზეზი ეს არის, მარა ეს როგორ დაგიჯე-
რთო! აქ ავთომეოფები რა შუაში არიან, რომ უდანამუდგომი იტყვი-
ტობიან, თუ ეს მართალია. ერთი სიტყვით, ვერ არის ექიმობის სა-
ქმე დაუენებელი ისე, როგორც რიგია, ამიტომ საჭიროა გამკვობამ
დაავალს ექიმებს უფრო გულმოდგინეთ მოეხურონ თავიანთ ვაღდე-
ბულებას, ხშირათ მოახდინონ ხელმე კანსილიუმი და მეტი უნდა-
დებოს მიაქციონ მძიმე ავთომეოფებს; თორემ ორი-სამი დღით ავთომ-
ეოფების უზატრინათ დატოვება ვერათეორი ექიმობასა მკ., ექიმი
ქალი კაცანი ხშირათ დადის თურმე ქუთაისში, ისე რომ თავის მკი-
ურათ არავის არ ტოვებს. ავადმეოფები კი იხრებობან და იხრებობან
უზატრინათ. აი ექიმობაც ასეთი უნდა!

თუ როგორი ადმინისტრატორი მოიწვია ქალაქმა ხსენებულ
სავთომეოფში, მკითხველებმა ჩემზე უკეთ იციან და მე ამის შესა-
ხებ არას ვიტყვი. ვიტყვი მხოლოდ, რომ უმჯობესი კი იქნება სა-
ვთომეოფის მართვა-გამგეობას უფრო გამომდელი ზირს ჩაანარბედეს
გამგეობა და ამით თავიდან აიცილებდეს იმ უსიამოვნებებს, რომლე-
ბიც ფინკელშტეინის გამო შეხვდა მას. როგორც გამომდელიებამ
დაგვანახვა ბ-ნი ფინკელშტეინი არ შეეფერება იმ თანამდებობას,
რომელიც მას აბრია, უკეთესი გამგეობას რაიმე მოსახრების გამო
უხეხულათ მიანია მისი უადვილეთ დატოვება, იმ შემთხვევაში
დასტოვოს ის ქირურგის თანამდებობაზე. ხოლო გამკეთ კი სხვა
უფრო შესაფერ კომისიის. თორემ დღეს რომ ამბები ხდება სა-
ვთომეოფში მისი მიფუხრება უფლად შეუძლებელია.

მეორე კითხვა, რომელიც ამავე სადამს კარჩიეს „კურნალს“
შეეხებოდა. ეს კითხვა აკერ თითქმის ორი წელიწადია, რაც საბჭო-
ში შეიტანეს, აი რა მოსახრებით: წვიმიან დღეებში ბუფარში
ვერ ვისეირნეთ, იმიტომ აუცილებლათ საჭიროა ისეთი შენობის აკე-
ბა, სადაც წვიმიან დღეებში შეიძლება გვექნება დრო გავატარეთ ბან-
ქისა და ბილიარდის თამაშით და, თუ არ დაგვეზარა, კაზეთის, კით-
ხვითაც და დროგამოშვებით კონცერტ-წარმოდგენებთანაც, თორემ
მოგვწეინდა ამდენი ტუფილა უფთხა; ერთათერთი კლუბი გვექნდა
და-ისიც ცეცხლმა იმსხვერპლა. ეხლა არ ვიცით სად და რით
გავერთთ და უსაქმობის გამო რომ გვეიდან არ შევიშალოთ, საჭი-
როა „კურნალი“, სთქვეს და ასრულეს კიდევაც! მარა ენუქას ან-
დერძის არ იყოს, რით გინდათ აშენეთ ეს რაღაც „კურნალი“—
თუ რაღაც დოხანა, ფულზე შეწავლათ ვართო, მოახსენა მტირალის
ხმით გამგეობამ, რომელიც თითხანც შეტრფოდა ამ „კურნალს“.
როგორ, ფულის მეტი რა გვაქვს, დავაგირათო ქალაქი ბანკში და
ფული არ იქნება, მიუგეს ქალაქის მამებმა (ანუ, უკეთ რომ ვთქვამთ,
მამინაცვლებმა) და ამ გენიოსური ადმინინით გააღეს გამგეობა.

იფიქრ გამგეობამ, ეს აზრი ჩვენ რატომ არ მოგვივიდა თავშიო.
დავაგირათო!, დასძახეს ერთხმით და გადაწვიტეს. მარა ნუ იტყვით,
თურმე როცა ეს დაადგინეს, ხმოსნების საკმაო რიცხვი არ დასწრე-
ბია და ამიტომ ეს კითხვა ხელახლა დაუბრუნა გუბერნატორმა საბჭოს
და აი 14 აპრილსაც ხელახლა ამოყო თავი „კურნალმა“ ბათუმის
საბჭოში და ბევრი უხმო ხმოსნები ახმაურა. თურმე ტუფილა უბრა-
ლოთ სწამებდენ ბათუმის ხმოსნებს მუხუბობაო. სრულიადაც არა.
„დავაგირათო რაც რამ გვაბადა და ეს საქმე სისრულეში მოვიყვა-
ნოთ“, დასძახეს ხმოსნებმა. ქალაქის თავიც თავგამოდებით იცავდა
ამ კითხვას და უფლად დონეს ხმარობდა ვინმეს წინააღმდეგობა არ
განეცხადებინა. ამხარათ დაადგინეს დაგირავდეს ქალაქის უძრავი მ-
შული 55 ათას მანეთით და ამით აშენდეს „კურნალი“, ხოლო
გვერდის შესადგენათ გადასდეს 550 მანეთი. უკეთეს სეოლაზე ან
სხვა სახალხო დაწესებულებაზე ჩამოვარდა ლაშარაკი, მამინვე დასძა-
ხებენ, სახსარი არ გვაქვსო, „კურნალისთვის“ 55 ათასი მანეთი კი
აქვთ, და თუ არა აქვთ ჰერანგს ავირავებენ ბანკში, მაშინ როცა

„კონის“ უქმლობის გამო დარბი ხალხი დიდ გატყობის და
უსკოლობის გამო მრავალი ბავშვები რჩებიან სკოლის გარეთ, ჩვენ
მამები „კურნალისთვის“ იმტყრევენ თავს. აი ესა დასტოვებოთ
ჩვენ ქალაქს ჩვენი მამები.

კასიო.

ბაძო. „ახ, დმერთ ჩემო, სულ ძილი, ძილი, რას გვე-
დირსება ჩვენ გადვიძება? სწორეთ ჩვენ, ბაქოელ რკინის გზის მსა-
ხურ ქართველებზე არის გამომჭრილი ეს სიტყვები. იმ დროს რო-
დესაც სხვაგან უკვე ასე თუ ისე გამოდვიძებუდნი არიან და მართა-
ვენ კიდევ სხვადასხვა სახალხო კითხვებს და წარმოდგენებს, ჩვენ, აქა-
ური ქართველები, ცხფრებისაგან კათასირებუდნი და გადმოკარგულ-
ნი გონებითი საზრდოს მოკლებულნი ვართ. ფეატრი, ეს უსაჭიროყო-
სი სულიერი საზრდო, სადაც ადამიანი ესტეტიურათ სტკება და
წუთიერათ მიანც ივიწეებს დღიურ ჭირავანამს, სახატრელი განდა
ჩვენთვის.

აქური რკინისგზის დებოს სახელხსნოსთან ეგრედ წოდებულ
„ვაგონნი სარაი“-ში არის მშენიერათ მოწყობილი სტება,
სადაც დროგამოშვებით კიდევ იმართება რუსული წარმოდგენები,
სადამოები და კონცერტები. ამ ორი წლის წინათ, როდესაც ამავე
თეატრში იმართებოდა ხელმე ქართული წარმოდგენები, დამსწრე სა-
ზოკადობა ცაცილებით მეტი ესწრებოდა ვიდრე რუსულზე. თვით
მამინდელი დებოს უფროსიც თავის მხრივ ხელსუწობდა ქართული
წარმოდგენის გამართვას. მას შემდეგ დღევანდლადის აქ ქართული
წარმოდგენა ადარავის უნახავს. ახლაც როგორმე მოხერხდებოდა
კიდევ, მაგრამ უფლად მეცადინება ამოდ რჩება უქალობის გამო.
სწორედ საკვირველი მოვლენაა, ჩემო მკითხველო, რომ ამოდენა ქარ-
თველობაში ერთი-ორი ქალი არ მიაბეჭებოდეს. მკონია დრო არის
აქურმა ქალებმა შეიგნონ, რომ ასეთი უსაქმრობა და კარნაკტილო-
ბა არ არის კარგი.

ნიკო ბერეჟიანი.

ს. წირაძალი (შორაზნის მარა). ბ-ნო რედაქტორო,
გთხოვთ თქვენი კაზეთის საშუალებით გამოაცხადოთ რომ „კვალის“
№ 20-ში 1901 წ. დაბეჭდილი კორესპონდენცია მსეგდონით:
„შეკვებაში მომუშავე“ მე არ მეკუთვნის *) ამ წარსულმა ამბავმა ახ-
ლა კიდევ იჩინა თავი და რადგან სრულებით ვეთანხმები მეც ზემოხ-
სენებელი წერილის ავტორს, რადგამ დღემდის თავ. მანამდეს არ
ხუბარებია საზოკადობისთვის ანგარიში, ამიტომ ვთხოვთ ან კაზე-
თის საშუალებით ან სოფლის ურდობაზე მოგვეცეს მასუხი შემდეგ
კითხვებზე: 1) რამდენი გვერტებოდა ანგარიშით ძველი კომიტეტი-
საგან? 2) რამდენი გადავიდა ახლების ხელში ამ საში-ოთხი თვის
წინათ ფულათ ან ვექსილებით? 3) ვისზე რას დარჩომილი, სად ინა-
ხება ფული. საქმის გამორკვევა კარგია თვით მანამდისთვისაც, რად-
გან საზოკადობაში ცუდი ხმა დადის.

ზაქარია გურული

ჩიბათი (გურია). ჩიბათი ერთ მოზრდილ სოფლათ ითვლებს
გურიაში. მცხოვრებლები ჩიბათში რიცხვით ცოტანი არ არიან. რაც
შეეხება აქური მცხოვრებლების სიმდიდრე-სიღარიბეს, ისინი (მცხოვ-
რებნი) გურიის სხვა სოფლების მცხოვრებლებისაგან დიდათ არ გა-
ნიჩხვიან. ჩიბათს აკრავს რიონის მდინარისკენ კარგი სათესი მინდ-
ვრები. ამ მინდვრებზე სიმინდი კარგი მდობდა ამ ბოლო
წლამდის. ამ მინდვრებში რამდენს რიონისკენ გაიცვლი, შეკვდება
ჭაობიანი ადგილები, რომლებშიაც შეიძლება კაცმა შესანიშნავი ბრინ-

*) აღნიშნული კორესპონდენცია არ ეკუთვნის ბ-ნ ზაქარია გუ-
რულს.

ჯი აკეთოს. ეს მტკიცებდა მით, რომ სადაც კი დათესეს ამ ადგილებში ბრინჯი, შესანიშნავათ იხარა. ამ ძვირფასს ადგილებს ჩიბათლები უნათ იშვიათათ იღებენ და ძლიერ კარგი იქნება, რომ მცხოვრებლები ამ ადგილებში ბრინჯის თესვას გაანშირებდნენ მით უფრო, რომ ბრინჯს კარგი ფასი აქვს უფლებკან. თუნდ მარტო ოჯახის დასაქმებულთა მთლიან ბრინჯი ისიც საკმარისია.

ჩიბათში, სასკლადობრ საყვირას ქედის მახლობელ ადგილებში არის ველურ მდგომარეობაში დაფხა. არაფინ ჩიბათელთაგანმა არ იცნა, თუ რა გამოსადეგი იყო დაფხის ფურცელი აქამდინ, ახლა კი იმის ფურცელს უდიან ძლიერ ძვირათ. ეს დაფხა არის გავრცელებული ერთ ადგილას. ძლიერ კარგი იქნება, რომ ამ ძვირფასი ხის თესვით სხვებიც ისარგებლებდნენ და გაავრცელებდნენ თავის ოჯახებში. ძველი ვენახი „დაფხა“ ჩიბათში ძლიერ შევიწროვდა სხვადასხვა ჭირის გამო. მცხოვრებლებმა ხელი მოკიდეს დაშენილ ვენახების გაშენებას. როგორც დაფხისხეთ დაშენილი ვენახები ჩიბათში კარგათ ხარობენ, ამიტომ საჭიროა გაავრცელონ მისი კეთება. ჩიბათში ძალიან მისდევენ აბრეშუმის მოყვანას. საშუალო რიცხვით რომ ვთქვათ, თითო ოჯახში მდის ორი თუმინის ზარკი. ზარკი გასაყიდათ გააქვთ ღანხსუთში, სადაც ხან სომეხი, ხან ბერძენი, ხან ქართველი ხარხები იმთ ატეუილებენ. თუმცა ამ სოფელში არიან ისეთი ზირები, რომელთაც სხეცადურათ აბრეშუმის ქსოვის საქმე აქვთ შესწავლილი, მაგრამ შეძლება ნებას არ აძლევენ, რომ აბრეშუმის ქსოვის საქმე დაიწყოთ და მათი სწავლა ტეუილათ ცდება არც ისე დიდი ფული სჭირია. ამ საქმეს სასამართლოებათ, რომ შეერთებულია ძალიან ვერ შესძლას. რომ ჩვენი ჩიბათლები მოინდომებდნენ ამ საქმის დაწყებას, რომელიც მერე თვითონ მცხოვრებლების გამოსადეგი იქნება, სულ ადვილათ შესძლებენ. საქმე იმაშია, რომ „ერთობა სიმაკრია, განხეთქილება საფაშე“. თუ მცხოვრებლები ერთათ მოვიწოდებთ, ამ საქმეს ადვილათ მოვახერხებთ. უფლებმა ოჯახმა განურჩევლათ წოდებისა რომ გადავდგათ ამ საქმისთვის თითო მანათი საშუალო საქმეს გავაკეთებთ. კარდა ამის ჩვენ მისხვილ შემწეობას აღმოგვიჩვენენ ამ სოფლის შეკრებულ-შეძლებული ზირები და ამ შეკრებილი ფულით ვიუილით აბრეშუმის „საქსოვ მანქანას“. ეს საქსოვი მანქანა მოქსოვის უფლებკარ აბრეშუმის საქსოვს: საკაბებს, ცხვირსახოცებს, შარავებს, თავსახურებს და სხვებს; კარდა ამის საქსოვი მოქსოვის სხვადასხვა ხაირ ხავერდებს. უფელა ამ საქსოვების მომზადება ძლიერ კარგათ აქვთ შესწავლილი იმავე სოფლის ზოგიერთ წევრებს და საქმესაც კარგათ წაიფხანებენ.

საქსოვის დაარსებით მამოყა ჩიბათში მოძრაობა, ბევრი კაცი იშოვნის შიგ სამუშაოს. კარდა ამის საქსოვი თვითონ იუილის ამ სოფლის ზარკს რიგან ფასში და არა მოტეუილებით (როგორც ჩარხები ჩადიან). მერმე კი როცა საქსოვი მოსაკებს ნახავს, მოძრაობა-მუშაობა უფრო გავრცდება, ხალხი წინ წავა, მაშინ სკოლების დაარსებასაც მოახერხებს და შვილების სხვა სასწავლებლებში გაზრდასაც და ამხარათ სწავლა-განათლებას შეიძენს. მე სრული იმედი მაქვს, რომ ჩიბათლები ამ საგანზე მოიღაზრებენ და სიტუვას საქმეთ აქტევენ.

სწავლა საჭიროა როგორც მამაკაცებისთვის, ისე დედაცრებისთვის. ჩიბათში კი უურადლებს მიქცეულია მხოლოდ ვაჟების აღზრდა-ზე. ჩიბათის სკოლები რომ დაიარა, ქალების რიცხვს შიგ ათამდე ვერ ნახავ მთელ საზოგადოებაში, მაშინ როცა ვაჟების რიცხვი აღის სამასამდე. აქედან ვხედავთ, რომ ქალების განათლებას ნაკლები უურადლება ქონია მიქცეული ჩიბათში. საჭიროა რომ ჩიბათის საზოგადოებამ დაიარსოს თავის სოფელში საქალებო სკოლა. ქალების განათლებას დიდი უურადლება აქვს მიქცეული სხვა სოფლებში. მაგ., აცანაში (სულ ზატარა სოფელი) არსებობს მშენიერი საქალებო სკოლა, და ჩიბათი, რომელიც აცანაზე ბევრათ დიდია, რატომ უნდა იყოს მოკლებული ამას?

იმედი უფელა ჩიბათელი, განურჩევლათ წოდებისა, მოინდომე-

ბენ ამ საქველმოქმედო საგანზე და თავიანთ ქალიშვილებსაც დაახლებენ ახლანდელი დროის სინათლეს (სწავლას).



სიმ 5. **საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა**

რუსეთის ცხოვრება.

„ცხობ. ფ.“ მიუყვანილია „რუსსკ. ვედ“ წერილი: „ადგომის დღეს კიშინევის ქუჩები ებრავლათ სისხლით მოიწეო. მართლმადიდებლებმა ეს დღესასწაული ძარცვა-გლეჯითა და ძალ-მოძრებით გადაინადეს. ძნელა-უფელაფერის აღწერა. მე მივედი კიშინევიში 9 აპრილს, ებრავლათ აკლების შემდეგ ქვეითი და ცხენოსანი რაზმები ქალაქის ქუჩებში დადიოდნენ. ქალაქი მინგრეულია, გეგმებით მტერი შესევია. ებრავლათ სახლები მთელს ქალაქში გაძარცვულ-აკლებულია. სახლები არ აკმარეს და ქალაქი გარედ ებრავლათ აკრავებიც გაძარცვეს, ხოლო ვენახებში ვაზები ასჭრეს. ქუჩებში ფეხს ვერ აუქცევთ ავჯის ნამტვრევებსა, ლოგინის ნაფლეთებს შუშებსა, ქადაღს... მართლმადიდებლათ სახლების ფანჯრებში გამოკიდებულია ხატები, ჯვრები და ზასკები. უფრო საცოდავ სურათს განაზირა უხეხი წარმოდგენენ. ებრავლათ ქანძხლები მოდრეცილი, ფანჯრებ და კარებ ჩამტვრეული გამოაფურებიან. ამ ქანხებთან სხედან დაღონებული, შიშშილისკან სახმილეული ებრავლანი... ამ ადგილებში მეტათ ღარბობი ებრავლები სცხოვრებენ, რომელნიც უიმისოთაც ძლიერ იჩენდნენ თავს. აკლებს ებრავლების თორებიც... ზარალი რამდენიმე მილიონია. დაზარალებენ უფრო დარბინი. მდიდარნი ცოტათ თუ ბევრათ გადაჩნენ: ქვის კედლებმა ასე თუ ისე დაიცვეს მდიდარ ებრავლათ მადაზიები, სახლები და სხვ. უბედურება უფრო ის არის, რომ აკლებამ მრავალი ხალხი იმსხვერპლა. მოჭკლეს დახლოებით ადგომის ზირველ და მეორე დღეს 45 კაცი, მძიმეთ დაიჭრა 60, მსუბუქათ—რამდენიმე ასი ქალი, კაცი და ბავშვი. სასაოულაოზე 19 გავი ვნახე. დარაჯმა გადახდა ზეწარი და დაფინახე დასახინებული დედაცანი, 1-2 წლის ბავშვი, 17-18 წლის ჭაბუკი მოხუცი და სხვანი. ამბობენ, ზოგი ებრავლი მესამე სართულიდან გადმოაგდეს. ამბობენ აგრეთვე, რომ ქალებს ნამუხი ახადეს. ქუჩებში ხშირათ შეხვდებით თავ, ხელ ან ფეხმეხვეულ ებრავლებს. მე ორი ზატარა გოგო ვნახე; შიში და სასოწარკვეთილება ინატროდა იმათ სახეზე. რა გრძობით უნდა შეხედონ ამ ბავშვებმა ქრისტიანებს იმათ ოჯახისა და ერის ამკლებებს. მძარცველნი ჯგუფგუფათ დათარეშობდნენ. თითო ჯგუფში ოც-ოც კაცი უფილდა. თვითეულ ჯგუფს ცნობის მოყვარეთა დიდი ბრბო მისდევდა. ზოლიცა ხედავდა, როგორ აწიოკებდნენ და იკლებდნენ სახლებს, მაგრამ წესიერების ადგენას არ სცდილობდა. ცნობის მოყვარეთა ბრბო, რომელიც მძარცველთ ფეხ-და ფეხ მისდევდა, კრებდა ნივთებს და სახლებისაკენ მიარბევინებდა. ცნობის მოყვარეთა შორის „ინტელიგენტნიც“ იყვენ ზოგნი ამთავანი თანაგრძობით ეგებებოდნენ აკლებას და აქვებდნენ ამკლებთ. ჯანმა, როდესაც გამოიწვიეს, 800 კაცი დააპატიმრა. წესიერება მხოლოდ მესამე დღეს ადადგინეს... ამბობენ, ბრბოს დაწინახება და წესიერების ადგენა არ შეიძლებოდა, რადგან ქალაქში მათარხები არ მოიპოვებოდა. ხოლო თოფის სროლა აკრძალული იყო. რამდენათ საბუთიანია თავის ასეთი გამართლება სხანს იქიდან, რომ ზოგან ორიოდ კაცი მხნეთ გაუმკლავდა გამხრეებულ ბრბოს და დაიცვა ებრავლანი. ერთ ადგილს ერთათერთმა ზოლიციულმა მხნეთ გაფანტა ბრბო და დაიცვა ებრავლის სახლი. სასამართლოს წევრმა დმ. გადაჩინა აკლებას ერთის ებრავლის დუქანი, რომელიც იმის სადგომ ქვეშ იყო. ტერცლის მქრბულთა რაზმის უფროსმა, ინჟინერმა კ.მ მთელი უხანი დაიცვა. ასევე შეიძლებოდა მთელის ქალაქის გადაჩინა... ჯგუფებში ხომ ათას-ათასი კაცი არ იყო, მამასადამე, ადვილი იყო იმათი ადაგმვა. აკლებას ერთსა და იმავე დროს შეუდგენ ქალაქის სხვადასხვა ადგილას. ამკანა, წინეთვე მომზადებულან. ამ მო-

მზადებს კი, რად თქმა უნდა, დრო დასჭირდებოდა. აი ამ დროს კიბის იმის, ვისაც არ უნდა სძინებოდა. თურმე არავისთვის საიდუმლო არ უყოფილა, რომ ადღგომის ებრაელებს აკლებას უზიარებდნენ... მისამსახურები ამის შესახებ თავიანთ პატრონებს ადღგომამდე უამბობდნენ. ებრაელებსაც იცოდნენ უფლაფერი, დეპუტატაც კაცსავსეს და აცნობეს მოსალოდნელი უბედურება, მაგრამ დეპუტატები დაამშვიდეს... ადღგომის პირველ დღეს დაიწყო აკლება. პირველად ბავშვები გამოვიდნენ: ქვებს ესრდებენ ფანჯრებს. მაგრამ იმათ შორის არ გამოვიდათ, ვისაც უნდა ეუბნებოდა. მეორე დღეს დიდი უბედურება დატოვდა. მოლოდინ ამის შემდეგ გაიწვიეს ჯარი, ზოგნი ამბობენ, ნაშუადღევს სამ საათზე, ზოგნი კიდევ—სადამოხეო. შესამჩნევია ბრალი ამ უბედურების დატრიალებსათვის ედება ადგილობრივ კაცსეთს „ბესარაბეც“-ს. ეს კაცეთი ძალიან გავრცელებულია ბესარაბიაში. კითხულობენ როგორც „ინტელიგენტი“, ისე ხალხი. უფლებას შეხვდებით ამ კაცეთს: ტრაქტირებში, სიფინაზის საზოგადოების სახაიებში და სხვაგან. რეაქტორ გამოცემულმა კრუშევანმა თავის ცნობებების საგნათ ებრაელებთან ბრძოლა განხილავს. იმისი კაცეთი სთესდა მტრობას, შურს, სიძულეს. ესა ბ-ნი კრუშევანი მოქსწრო თავის ნათესის ნაყოფს“.

— უფლა კაცეთებს დიდათ სამწუნაროთ მიანხია ისეთი მოვლენა ჩვენს დროში, როგორც მთელის ხალხის აკლება და აწიოკება, მაგრამ არიან ისეთნიც, რომელნიც ამ საზიზღარ მოვლენას ამართლებენ, ასე იქცევიან უზიარებელს უფლისა ცნობილი კრუშევანის კაცეთი „ბესარაბეც“-ი, „ნოვოე ვრემია“, „სვეტი“ და იმათი თანამოხარები. უშიშარი რანდი კრუშევანი თამაშათ აცხადებს, რომ ებრაელთა აკლება თვით ებრაელებისავე ბრალი იყო: ქრისტიანებმა, მუშებმა და დაბაღმა ხალხმა პრეტესტი განუცხადეს ებრაელებს რეფლიუციონურ მოქმედებისთვის და ჯაფრი იყარეს. მეორე კაცეთის „ნოვოე ვრემიას“ კარესპონდენტი სცდილობს დაამტკიცოს, რომ არც ებრაელი არიან გულხელდაკრეფილნი და ისინიც უფლებას ქრისტიანებს. იგი სწერს: დღე ისე არ ჩაივლის კიშინეში, რომ მოკლულის ქრისტიანის გვამი არა ქნახნო. აბა ვინ უნდა მოჭკლას ქრისტიანი, თუ არ ებრაელმა! როგორც ესა ირკვევა, კრუშევანს კიშინეში მრავალი თანამგძნობელი უოდა. ასეთები თვით ქალაქის საბჭოშიც ეოფილან.

ბევრნი თხოულობენ, საზინამ აღუდგინოს ზარალი დაწიოკებულ ებრაელთ. ამის გამო „ნოვ. ვრემია“ სწერს: „როგორც ეტობა, ებრაელებს უნდათ მთავრობამ კონტრობუცია დადოს ქრისტიანებს“-ო. შინაგან საქმეთა მინისტრისთვისაც გაუგზავნიათ სანოვრები; თხოულებენ, „ნოვოე ვრემია“-ს, „სვეტს“-ს და ორიოდ სხვა კაცეთს აკრძალეთ ებრაელებზე წერა, ხოლო „ბესარაბეც“-ს რულისათ აკრძალეს. ებრაელების აკლების მოსაწილენი და წამქეხებლებიც დაუსახელებიათ, ასახელებენ, სხვათა შორის, ნატარიუს ბ-ს, მემამულეს ბ-ს, და ექიმს ს-ს. ესენი ებრაელთა აკლების დროს ბრბოში ეოფილან თურმე,

ებრაელი მარტო კიშინეში არ აუწიოკებიათ. როგორც „ნოვ. ვრ.“-ს ატობიებენ, ასეთი ამბები იმავე დღეს სხვა სოფლებშიც მომხდარა. სოფელ ჩენდენსა, მერენსა და ბანეიში ორი ებრაელი მოუკლავთ, გრიშოვსა, ვიდუფეოვლსა და ორგევეში ჯარიც კი კაცსავსენათ. 12 აპრილს ორგევეში თვით ვიცე-გუბერნატორი წასულა.

ებრაელების აკლება, როგორც „გოსხოდ“-ს სწერენ, დაუწყიათ პირველად ადგილობრივ მცხოვრებთ კი არა, მოსულ ხალხს, უმთავრესად ველიკოროსებს. მდე იმათ შორის დაუშვენიეს თურმე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა: ზოგიერთმა მუშებმა, ხელისებმა, უადგილოთ დაჩინილმა ხელზე მოსამსახურებმა, მაწინწალმა მათხოვრებმა, წვრილ ფეხობამ—ბიჭებმა და გოგონებმა და სხვებმა. ასე გასინჯეთ, მოწოდებანიც კი დაუბეჭდათ: იწვევდნენ ხალხს ებრაელების ამოსაყვებლათ და ამოსახლათ. ამასთან ამ დაბეჭდილ მოწოდება-

ში მოხსენებული იყო: ბეტერბურგიდან მოვიდა ბრძანება, ამოვიღოთ ურებიო. დასარულ, ორი სიტუვა კიდევ იმავე „ბესარაბეც“-ისა და „ნოვოე ვრემია“-ს შესახებ. ეს კაცეთები ყოველ დღე სწიხან დახატომებულათვის და ამბობენ, იმათი ცდილობა უშიშროთ იხტება. ამავე დროს არაიქნეს ამბობენ იმ ებრაელთა შესახებ, რომელთაც მრავალი დაუხტეს, სახლ-კარი დაუწიოკეს და უფუქმა-შუროთ დასტოვეს.

ს ა ზ ე ზ ა რ ბ ა რ ი თ


იხპანი. ენერგიულმა ავტორიტამ და სხვადასხვა რესპუბლიკანურ ფრაქციათა გაერთიანებამ მათ დიდი ძალა შემატა, და მათი გამარჯვება თვალსაჩინო გახდა. მარა რესპუბლიკელთა გამარჯვებას დიდი შურით და მტრობით უფურებენ გახატონებული რეაქციონური ძალები, ისინი გაბრახებული არიან საქმის ასეთი მდგომარეობით და ყოველ შემთხვევაში ცდილობენ აუღმავადი, შოთი აუტებს რესპუბლიკელებს. ამიტომ ახალი არჩევნები მეტათ გამწვავებულ ბრძოლის სურათს წარმოუდგენს ისეთ ბრძოლის სურათს, საიდგანაც ბევრი დასისხლიანებული და თავგადასხეტილი ბრუნდება შინ. ასეთი იყო არჩევნები მადრიდში, ვალენციაში, ბარცელონაში და სხვა. უკანასკნელ ორ ქალაქში მთავრობას მომხრე პარტიათა გარდა რესპუბლიკანელებს შეტაკება მოუხდათ ევრეთ წოდებულ კარლისტებთან, შეტაკებაში ბევრი კაცი დაშავდა ორივე მხრივ. ვალენციაში სხვათა შორის გაილანა მთავრობის კომისარი, და არჩევნები უკანონო ჩათვლება. იქვე კათოლიკეთა კლუბში საქმე რეფორმერებსე მიდგა და რამდენიმე პირი დაიჭრა. გრანდაში არეულობა ისე გაძლიერდა, რომ არჩევნები შეუძლებელი შეიქნა. მიუხედავთ ასეთ წინააღმდეგობათა 8 სარჩევნო ოქლადამ ექვსმა რესპუბლიკანური კანდიდატებამ ამიერიანა.

ს ა რ ს ა თ ი. როგორც კაცეთები გადმოგვცემენ სპანეთში ქალაქ მუშეთში დიდი არეულობები მომხდარა. ზოლიცისთან შეტაკების დროს დაჭრილა 20 კაცამდე, გადაცვლილა სამი ქალი ერთი კაცი და ერთი ბავშვი. უფლა შიშის ზარამ შეიპყრო. დუქების კალებას ვეღარ ბედავენ. ვაჭრობა თითქმის სრულიად შეწყვეტილია. ხალხი მეტათ აღელვებულია ადგილობრივი გენერალ გუბერნატორის სასტიკი ქცევით მეამოხეთ დახვრეის და ცეცხლი წაუკიდეს პოლიციისტრის სახლს.

მაკედონია. მაკედონელები ამ კაცათხელზე მოვლოდენ საერთო აჯანყებას, მარა ეს მოლოდინი არ მართლდება.

კერძოთ საქმის მდგომარეობა მაკედონიაში ასეთია: 16 აპრილს მაკედონიის რეფლიუციონერებმა 50 ადგილას აფეთქეს დინამიტი ქალაქ სალონიკსა და მის მიდამოებში.

ათხშამათს სადამოს, მაკედონელ კომიტეტებმა დასალოფებით 50 ადგილს დინამიტი აფეთქეს ქალაქ სალონიკსა და მიდამოებში. ოტტომანის ბანკის განუოფილება გადაარჩინეს. უუმბარები დაუგლოთ უცხოელთა კლუბის და ზოგიერთ რესტორანის წინ. ჯარები, ყანდარები და პოლიცია სდევნიდა ბოროტმოქმედთ. აქა-იქ ბრძოლა გაიმართა, რომელთაგან ზოგი ნაშუადამდე გაგრძელდა. რანის გზის მსახურ მოხელეთაგან დაჭრილია მოლოდინი სახელისოების გამკე. ვალი და სამხედრო კომენდანტი მივიდნენ იქ, სადაც ცეცხლი გახდა, და განკარგულება მოახდინეს, რომ ჯარებით შეკრათ ქუჩები, რათა დაეცვათ უცხოელთა საკანსოფლები და უმთავრესი შენობები. ვალიმ პირობა მისცა კანსოფლებს უცხოელთ დავიცავოთ. გარდა ზოგიერთ დამნაშავეთა და შეიარაღებულ ბოღკარელთა, დატუსაღებულ ოქმს ბევრი საეჭვო პირი. დიდი აღელვება სუოფეს; ვაჭრობა შეუბრდა. პორტამ ყოველი დონე იდონა უცხოელთა და თავის ქვეშევრდომთა დასაცვლათ. ადგილობრივ, ჯარების გასაძლიერებლად დაბარებულ ოქმსა მიმრანდან ოთხი ბატალიონი. დიდმა ვეზირმა დაამშვიდა უცხოელი დიპლომატები. სალონიკში დახვრეის კერძანელთა კლუბი.



სამი წევრი დატრიალდა, ერთი მკვლედი. მსუბუქთ დატრიალდა აგრეთვე გერმანიის საკონსულტო კამპე რკინის გზის სახანოთ საწყობი და გერმანელთა სკოლა აგრეთვე დაზიანდა უმბარებისკან.

ხმა გაგრძელდა, რომ ამავე დროს ბუღგართა ბრძოლები გადავიდნენ საზღვარზე და მონასტრის ვილაიეტში რამდენიმე ბრძოლა მოხდა. ჯერ ამ ხმის შესახებ ნამდვილი ცნობები არ მოსულა.

უსიკეთის ვილაეტის ზეზვის ოლქში რევოლუციონერებმა, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ჯარს; ორივე მხარეზე ბევრია მოკლულ-დატრიალი.

საღვთისმშობლის ამის გამა ომიანობის დროს წესები შემოვიდათ. ამისაღმდეგ მთავრობა უფრო დანებს ხმარებს, რომ თავის ბატონობას რაც შეიძლება დიდხანს შეინახოს და თავისუფლება იათ არ დაუჯინოს მაკედონელებს. ის უფრო შემთხვევაში ცდილობს და მაკედონიაში ჯარს ჯარზე აგზავნის. თავს უურის აგრეთვე ჯარს ბოლგარების საზღვარზე. ამ მიზნით, ზოგი გაზეთები ამბობენ, ზოგნი და ალბანელები შუა ჩუმი მოლაპარაკება არსებობს. მთავრობას სურს, რაც შეიძლება მეტი ჯარი შეკრიბოს მაკედონიის საზღვარზე, რომ სწრაფად იერიშით მივიდნენ იმ მეზობელ სახელმწიფოებზე, რომელიც გაბედავს მაკედონიის საქმეში გარეგან და მაკედონელების განთავისუფლებას ხელს შეუწყობენ. მარა როდემდის უნდა გასტანოს ამ ბარბაროსთა დაუსჯელოთ ფართობებამ თავისუფლებისათვის მებრძოლ ერზე.

—ვენის გაზეთ „ცაიტ“-ში დაბეჭდილია საინტერესო წერილი ცნობილ ბერის საჩაფავისა, რომელიც მეთაურობს მაკედონელ რევოლუციონერთა მძობობას. საჩაფავი ენერგიულ ზრტყესტს აცხადებს რუსულ გაზეთების მიერ გაგრძელებულ ხმების წინააღმდეგ, ვითამც რევოლუციონერები სასტიკათ და შეუბრალებლათ ეზერობადენ მამადიანებს. „უფრო ასეთი ხმები ნამდვილი ცილის წამებაა და სხვა არაფერი“-ო, სწერს საჩაფავი. განსაკუთრებით ის აღშოთაუბრულია რუსეთის დიპლომატიის ქცევით—სარგებლობს ამ ცრუ ხმებით და ორმის სთხრის რუსეთსა და მაკედონიის შუაო. „ჯანუკელებს არავითარი იმედი აღარ აქვთ რუსეთისა. მათ ამხსნეებს მხოლოდ ის რწმენა, რომ ევროპა აღარ მოითმენს იმ ზატარა ქრისტიანების დამონებას, რომელნიც იბრძვიან თავისუფლებისა და ადამიანის უფლებისათვის“.

ფ ი ჟ რ ე ბ ი .

მშვიდი და წყნარია სამშობლოს ცა. არსად ღრუბელი, არსად ელვა და ქუხილი, მხოლოდ მისი მოკრიალებული ლაქვარდი დაგვყურებს ზევიდან და დასცანის... იქნება ჩვენს გულს?...

იქნებ ჩვენს გულში ხედავს ქართველის ნიშნებს?..

მაგრამ აგერ ძირსაც ხო გადაშლილა გაზაფხული? განთიადის სხივებზე მოქრის ნიავი და კოცნის ტუჩ-გაბობილ ვარდს, მთაც აფრიალებს ფერად კალთებს და მდელი ირთვება ჯილა ზურმუხტით, მას სურს გულში ჩაიკრას ბუბულის სააზიყო კვნესა. ირგვლივ სიხარული, ირგვლივ მეჯლიში. ტოტი ტოტს ეხლართება, ფოთოლი ფოთოლს უტყულაშუნებს, მიქრის და მიქრის გაზაფხული, ცელქი, დაუწყნარებელი, თვით სიცოცხლე, და ნაკადული სიყვარულისა.

ღიახ, გაზაფხული ფერად დროშით...

მაგრამ იქნება ესეც ჩვენ დაგვცინის, იქნება დასცინის ჩვენი გულის წიაღს, სადაც მხოლოდ ყინვა და ისე ყინვაა? სადაც ისევე ქვითინებს სიმი, და სიხარულის რიქრაჟი მისთვის მხოლოდ სანატრელია. ის მხოლოდ ნატრულობს, ნატრულობს მთელი ჩანგის აქდერებას, გაზაფხულთან შესაერთებ-

ლათ, მისებრივ გასალადებლათ, მისებრივ თავისუფლათ აგერებისათვის.

ღიახ, დაგვცინის, დაგვცინის გაზაფხული! **მაროვნული**
ი. ელვა მკვლედი

ა ზ რ ი

ფ უ რ ც ე ლ ი მ ე რ ვ ე .

(დასასრული*)

ერთი თვისება ჩემი ბუნებისა: მე ძალიან მიყვარს პაწია ბავშვები, აი ისეთები, რომლებიც ოდნავ იწყებენ ტიტინს და გავან პატარა ცხოველებს: ლეკვებს, კატის ცინტლებს, გველის წიწილებს. პალარაობისას გველნიც მიმზიდველნი არიან. შემოდგომაზე, ერთ მშვენიერ დღეს მე ასეთი სურათი ვნახე. პაწაწინტელა ქალს,—ბამბის ტანსაცმელში და თბილ თავსახურში, რომლიდანაც ოდნავ გამოჩნდა ვარდის ფერი ლოყები და პაწია ცხვირი,—უნდოდა მისულიყო პატარა ფეხწვრილი და შიშით კუდამოძუებულ ძაღლთან. ბავშვს უცებ შეეშინდა, შებრუნდა, ბურთივით გაგორდა ახლო მყოფ გამდლისაკენ და ჩუმით, უცრემლოთ, უხმით ჩამალა სახე იმის კალთაში. პატარა ძაღლი ალერსიანათ და მხალათ აქანებდა ქუდს, ხოლო გამდლის სახე კეთილი და უბრალო იყო.

—ნუ გეშინი, —ეუბნებოდა ის ბავშვს და მე კი მიღიმილა.

არ ვიცი რათ და მე ხშირათ მაგონდება ეს ბავშვი, მაშინაც როცა საველოვის სიკვდილზე ვფიქრობდი და ახლაც. მაშინ კი როცა ამ ბავშვს პირველათ შევხედე, მე დამებადა ახირებული გრძობა, თითქოს ავხსენი რალაც და ჩემ მიერ მოფიქრებული მკვლელობა სიცრუეთ მომეჩვენა. ის, რომ იმათ ორივეს, ძაღლსაც და ბავშვსაც, ისე სასაცილოთ ეშინოდათ ერთმანეთის, ისიც, რომ მზე ისე ათბობდა და ანათებდა—ყველა ეს ისეთი უბრალო იყო და ისეთი ღრმა აზრი ამოხსნადა აქედან, რომ მე მეგონა, არსებობის გამოცანა აქ დევსმეთქი. ასეთი იყო ის გრძობა და მე-მ უთხარი თავის თავს: „ამაზე საქიროა საკადრისათ მოვიფიქრო“. მაგრამ არ მომიფიქრია კი.

ახლა კი არ მახსოვს, თუ მაშინ რა იყო ისეთი, ძალიან ვცდილობ მოვიგონო, მაგრამ არ შემიძლია. არც ის ვიცი, თუ რათ მოგიყვით ეს სასაცილო და უვარგისი ისტორია, როცა ასე ბევრი მაქვს საჭირო და სერიოზული სათქმელი. საჭიროა დავთავაზო.

დავტოვოთ მკვდრები მათთვის. ალექსი მოკლულია, ის კარგა ხნის გაიხრწნილი იქნება კიდევ, ის აღარ არის,—გზა მშვიდობისა. მკვდრების მდგომარეობაში არის რალაც სასიამოვნო.

ნურას ვამბობთ ნურც ტატიანეზე: ის უბედურია და სხვებთან ერთათ მეც მონაწილე ვარ იმისი მწუხარებისა, მაგრამ რას ნიშნავს ყველა ეს იმასთან შედარებით, რასაც მე, დ-რი კერქენცევი, განვიცდი? განა ცოტა ქალები კარგვენ ქრებებს და ცოტანი დაკარგვენ? დავანებოთ იმათ თავი—დაე იტირონ!

მაგრამ აი აქ, ამ თავში...

თქვენ გესმისთ, ბ.ბ. ექსპერტებო, თუ როგორ მოეწყო ყველა ეს? ქვეყანაზე მე არავინ მყვარებია გარდა საკუთარი

*) იხ. № 17.

თავისა და თავის თავში კი ეს ბინძური სხეული როდი მყვარებია,—ის ყველა გარყვნილებს უყვარს,— მიყვარდა მხოლოდ ჩემი ადამიანური აზრი, ჩემი თავისუფლება. მე არც მცოდნია რამ და არც ვიცი აზრზე უმაღლესი, მე ვაღმერთებდი მას და ამის ღირსი განა ის არ ყოფილა? განა როგორც დევ-გმირი არ ებრძოდა ის ადამიანებსა და ამის შეცდომებს? მიუწოდებელ სიმაღლეზე ამიყვანა იმან მე და ვხედავდი, თუ ქვევით როგორ ფუსფუსებდნენ ადამიანები თავიანთ წვრილმანი გულისთქმით, თავიანთ მუდმივი შიშით სიცოცხლესიკვდილის წინაშე, თავიანთ ეკლესიებით, წირვა-ლოცვით და პანაშვიდებით.

განა მე არ ვიყავი დიდებულიც, თავისუფალიც და ბედნიერიც? როგორც არწივი თავის ბუდეში განა მეც იგივე არ ვიყავი, იგივე უძლევი და ამაყი ჩემვე თავში? მეფე თავის თავისა, მეფევე არ ვიყავი განა მთელი დანარჩენი ქვეყნებისა?

და მე შიდასატეს. ბინძურათ, ცბიერათ, როგორც ქალებმა იციან ხოლმე, მე მილალატეს მონებმა—ჩემმა აზრებმა. ჩემი სასახლე გადაიქცა ჩემსავე საპრობილეთ, ჩემსავე სახლში დამეცნენ მტრები, ჩემი სასახლის მიუდგომლობაში, მისი კედლების სისქეშია ჩემი დაღუპვა—სადღაა ხსნა? ხმა არ გადის გარეთ; ვინ არის ძლიერი, რომ მიხსნას? არავინ, —ვინაიდან არავინ არ არის ჩემზე უძლიერესი და მე კი ვარ ერთათ ერთი მტერი ჩემი „მე“სი.

გარყვნილმა აზრმა მილალატა მე, მე, რომელსაც აგრე მრწამდა ის, აგრე მიყვარდა! ის კი არ გაცუდებულა: იგივე ნათელია, იგივე მკვეთრია ის, როგორც სამართებელი, მაგრამ იმისი ტარი აღარ არის ჩემ ხელში და მე, მის ბატონს, მის გამჩენს, მევე მკლავს იმავე სიმშვიდით, როგორც მე ვკლავდი სხვას.

დგება დამე, და მე მიპყრობს ცოფი, საშინელება. მე მაგარი ვიყავ ქვეყანაზე და ჩემი ფეხები მჭიდროთ იდგენ ზედ—ეხლა კი ცარიელ სივრცეში გამისროლეს. დიდებული და მრისხანეა მარტოობა, როცა წინ და უკან, ზევით და ქვევით, ყოველი მხრით გავუთავებელი სიცარიელეა. საზარელია მარტოობა, როცა მე, რომელიც ვცოცხლობ, ვგრძობ, ვაზროვნობ, რომელიც ასე ძვირი ვარ, თითქმის ერთათერთი, ასე პატარა ვარ, სულ პატარა, სუსტი, რომელიც შეიძლება ერთ წუთს ჩავქრე. ბოროტია მარტოობა, როცა თავის თავის მხოლოდ ნაწილი ვარ მე, როცა თავის თავში მე მახლობენ იღუმალნი მტრები. სადაც უნდა წავიდე—ყოველგან დამყავს ისინი, მარტოს მთელ მსოფლიოში, ჩემვე თავში აღარ მყავს შეგობრები. გიჟურია მარტოობა, როცა მე არ ვიცი ვინ ვარ, როცა ჩემი ბაგეებით, ჩემი აზრებით, ჩემი ხმით საუბრობენ უცნობი ისინი.

არა, ასე ცხოვრება არ შეიძლება, მე არ შემიძლია, არა. ქვეყანას კი მშვიდათ სძინავს, ქმრები კოცნიან თავიანთ ცოლებს, მეცნიერები კითხულობენ ლექციებს და მათხოვარი შეხარის მალლიდან გადმოსროლილ კაპეკიანს. გიჟ და ამიტომ ბედნიერ ქვეყნიერებაზე, საშინაო აქნება შენი გამოდევნება!

ვინ არის ძლიერი, რომ მაშველი ხელი გამომიწოდოს? არავინ, არავინ. სად ვნახავ მე იმ მუდმივს, რასაც შემეძლება ჩავეჭიდო, საბრალო, უღონო და მარტო „მე“-თი. ვერსად, ვერსად. ოჰ, საყვარელო, საყვარელო ქალიშვილო. რატომ შენკენ გამოიწვევის ჩემი გასისხლიანებული ხელები—შენც ხომ ადამიანი ხარ და შენც არათეორობის, ხიკვდილის კერძს წარმოადგენ! მეცოდები შენ, თუ მსურს შენ შემიცოდო, მაგრამ მაინც, როგორც ფარს, ისე ამოვეფარებოდი შენს უსუსურ სხეულს, რომ საუკუნეთა და სივრცის სიცარიელეს დავემალეობოდე—მაგრამ არა, არა, ყველა ეს სიცრუეა.

დიდ, ძალიან დიდ დავალებას გთხოვთ თქვენ, ბ. ბ. ქქს-ბერტეზო, და თუ რამოდენათმე მაინც გრძობთ თავიანთ თავში ადამიანს, ნუ გამაწბილებთ ამ თხოვნას. გიჟელოვნებ, ჩვენ იმდენათ გავეცანიით ერთმანეთს, რომ უნდა ვაქანათ ერთმა მეორის. და თუ მე თქვენ გთხოვთ, რომ სამსაჯულოში აღიაროთ ჩემი ჭკუის სისალე, ყველაზე ნაკლებ მე დაგიჯერებ თქვენ. თქვენთვის თქვენ როგორც გენებოთ ისე გადასწყვიტეთ, მაგრამ ჩემთვის კი ვერავინ შეიძლება შემდეგი კითხვის გადაჭრას:

ვიგანებდი სიგიჟეს, რომ კაცი მომეკლა, თუ გიჟი ვიყავი და იმიტომ მომეკლა?

მაგრამ მსაჯულები დაგერწმუნებიან თქვენ და მომანიჭებენ იმას, რაც მწადია—კატორღას. გთხოვთ სხვა რიგათ არ ახსნათ ეს განცხადება. მე არ ვნანობ საველოვის სიკვდილს, მე არ ვხედავ სასაჯულოში დანაშაულის გამოსყიდვას და თუ ჩემი ჭკუის სისალის დასამტკიცებლათ საჭირო იქნება, რომ მოვკლა და გავძარცვო კაცი, მე დიდს კმაყოფილებით კიდევ მოვკლავ და კიდევ გავძარცვავ, მხოლოდ კატორღაში, როს—ჯერ მე თვითონ არ ვიცი.

მე მიზიდავს იქითკენ რალაც ბუნდოვანი იმედი, რომ იმათ შორის, რომელთა დაარღვიეს თქვენი კანონები, მკვლელებში, ავაზაკებში მე ვიპოვი აქნამდე უცნობ წყაროს სიცოცხლისას და კვლავ დავუამხანაგდები ჩემსავე თავს. დაე ეს იყოს სიცრუე, დაე დამატყუოს იმედი, მე მაინც მსურს იმათთან ყოფნა. ოჰ, მე გიცნობ თქვენ! თქვენ ლაჩრები და ფარისევლები ხართ, თქვენ ყველაზედ უფრო თქვენი მოსვენება გიყვართ და ამიტომ თქვენ ყველა ქურდს, ვისაც კი ერთი ბულკი მოუპარავს საგიჟეში ჩამალავდით, თქვენ უფრო ქვეყნიერობას და თავის თავს გამოაცხადებთ გიჟათ, ოლონდ თქვენ მიერ მოგონილ სისულელეს ნუ შეგებებან. მე გიცნობ თქვენ! დანაშაულები და დანაშაული—ეს თქვენი მუდმივი შიშია, ეს მედგარი ძახილია გამოუკვლეველი სიღრმისა, ეს შეუბრალებელი დამობაა თქვენი გონებრივი და ზნეობრივი სიცოცხლისა და რაც უნდა მაგრათ დაიციოთ ყურები, ის გაატანს შიგ, ის გაატანს! და მეც იმათთან მინდა, მე, დოქტორი კერუენცევი, უნდა ჩავდგე ამ თქვენთვის საშიშარ მხედრობის რაზმში, როგორც მუდმივი საყვედური, როგორც ის, ვინც დაჟინებით თხოულობს პასუხს.

მოწყალებას როდი ვთხოულობ თქვენგან, არამედ მოვი-თხოვ: თქვით, რომ მე სალი ჭკუისა ვარ. თუ არ გჯერათ—იცრუეთ! მაგრამ თუ თქვენ სულმდაბლათ დაიბანთ თქვენ მსწავლულ ხელებს და საგიჟეში დამაჯენთ, ან და თავისუფლათ გამიმეგებთ, მეგობრულათ გაფთხილებთ: მე თქვენ მრავალ უსიამოვნებას მოგაყენებთ.

ჩემთვის არ არის მსაჯული, არ არის კანონი, არ არის აკრძალული. ყველაფერი შეიძლება. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ისეთი ქვეყანა, სადაც არ იყოს მიმზიდველობის კანონი, არ იყოს არც მალღა, არც დაბლა, სადაც ყველაფერი ემორჩილება მხოლოდ ჟინსა და შემთხვევას? მე, დოქტორი კერუენცევი, ვარ ეს ახალი ქვეყანა. ყველაფერი შეიძლება. და მე, დოქტორი კერუენცევი, დავიმტკიცებთ ამას. მე მთელ ადამიანათ მოგაჩვენებთ თავს. მე ვიპოვი თავისუფლებას. და მთელ აწინდელ სიცოცხლეს მოვანდომებ სწავლას. მე შემოვიხვევ გარშემო ყველა თქვენ წიგნებს, მოგტაცებთ თქვენი ცოდნის ძალას, რომლითაც თქვენ ამაყობთ, და ვიპოვი ერთ საგანს, რომლის საჭიროებას დიდი ხანია გრძობენ. ეს აქნება ნავთიერება, ისეთი ძლიერი, რომლის მზგავსი ჯერ არ ენახოს ქვეყნიერებას. მე ნიქიერი ვარ და ვიპოვი მას. და რატა ვიპოვი, მაშინ მე ავაფეთქებ ჭკუში თქვენ წვეუელ დედამიწას.



სასამართლოში დოქტორ კერენცევს ძლიერ მშვიდათ ეჭირა თავი და გასამართლების დროს ერთსა და იმავე, არა-რის შეტყვევლ პოზიში იმყოფებოდა. კითხვებზე გულგრილათ და უნებურათ იძლეოდა პასუხს; ხანდახან ორჯერაც კი უმე-ორებდენ ერთსა და იმავე კითხვას. ერთი კიდევ გააცინა მან რჩეული საზოგადოება, რომელსაც აევსო სასამართლოს დარ-ბაზი. თავმჯდომარემ რაღაც უთხრა სასამართლოს ბოქაულს და ბრალდებული—ალბათ ვერ გაიგონა—წამოდვა და შეეკი-თხა:

- როგორ? უნდა გავიდე?
- საით უნდა გახვიდეთ? გაუკვირდა თავმჯდომარეს.
- არ ვიცი თქვენ რაღაც მითხარით.

საზოგადოებას გაეცინა და თავმჯდომარემ კი აუხსნა კერ-ენცევს რაში იყო საქმე.

ექსპერტებათ ოთხი ფსიხიატრები იყვნენ და იმათი მოსა-ზრება ორ თანატოლ ნაწილათ გაიყო. პროკურორის სიტყვის შემდეგ თავმჯდომარე მიუბრუნდა ბრალდებულს, რომელმაც დამცველის აყვანა არ ისურვა:

— ბრალდებულო! რას იტყვით თავის გასამართლებელს? დარი კერენცევი წამოდვა. მკრთალი, თითქმის მიმჭრა-ლი თვალები მან მოავლო მსაჯულებს და შემდეგ გადახედა საზოგადოებას. და იმათ, ვისაც კი ეს მძიმე შემოხედვა დაე-ცათ, გამოსცადეს რაღაც ახირებული და მტანჯველი გრძნო-ბა: თითქოს ცარიელ ქუთუთოებიდან იმათთვის შეეხედოს თვი-თონ გულგრილსა და მუნჯ სიკვდილს.

- არაფერს არ ვიტყვი! მიუგო კერენცევმა.
- მან კიდევ გადაავლო თვალი მსაჯულებს და განიმეორა:
- არაფერს!
- ნათიცი მსაჯულები სათათბირო ოთახში გავიდენ.

ბ. ლომთათიძე.

ქართულ დედას

სად ხარ, დედავ, კვლავცა აღსდევ,
თავ-განწირულ გმირთა მზრდელი!
დედათ სიმხნე-ქველობასა
ნაჩვენია საქართველო!..

ძალას გვმატებს შენი სახე,
ოცნებაში აღბეჭდილი,
და კვლავ გვესმის მედგარი ხმა:
„ან სიცოცხლე, ან სიკვდილი!“

აღსდევ, დედავ, წინ გაგვიძღ
მამაცობის მწეთ და ფართ!
მოგვაწოდე საქურველი
მტერთა გულში გასაპყართ!..

თუმც ბრძოლის დრო გადავიდა—
თოფ-იარაღ-ზარბაზნების,
დედის გული გრძნობიერი
დღეს უფრორე აევზენების:

მრავლათ ისმის კვნესა-გმინვა,
ქრუანტელის ტანში მგვრელი,
ჯოჯოხეთის ხმა-კილოზე
რომ ხარხარებს ძმის მჩაგვრელი!..

იფქლსა ღვარძლი მოერია
და ვარდ-ზამბახს ნარ-ეკალი,
მზის სხივს ჩრდილავს ძალოვნებით
ბნელ წყვდიადის ნარეკალი..

სასწორ-ადლი გაგვიმრუდდა,
ცოდვა წინ დგას, უკან მადლი!
დღეს სხვა გმირი გვეჭირვება,
რომ სისხლს გვწუწუნის დედა-ზარდლი!..

სუსტთა ჩაგვრა, მტარვალობა
კაცთავ ხელით ნაჩარხია
და წყვეული ძაღლის თავიც
აი, სწორედ აქ მარხია!..

აბა, დედავ, კვლავ გაბრწყინდი,
კვლავ გვიჩვენე საქმე შენი!..
გაგვიზარდე კვლავცა შეილი
შენივ შემკობ-დამამშვენნი!

დ. თომაშვილი

ლ ა ე კ ა

(მოთხრობა ანდრია ნემოვეცისისა.)

ერთხელ ჩემ გუგერნერობის დროს შემხვდა ცხოვრება რამდენიმე ხნით ძლიერ მოძველებულ ცინე-დარბაზში. ეს ცინე-დარბაზი ოდესმე ჩემ მეგვარეებს ეკუთვნოდა; მაგრამ დღეს კი შეადგენდა კუთვნილებას იმ მდიდარ ადამიანებისა, რომლებსაც უკავიათ ის ადგილები, რომლებიც წინეთ ეკუთვნოდა მეფეს და მის კარის კაცებს. აი, ამ ცინე-დარბაზში რაღაც ავათმყოფობამ ჩამაწვინა საწოლში და იძულებული გამხდა რამოდენიმე ხანი შიგ გამეტარებია. ჩემდა საბედნიეროთ, მარტოხელა დამტოვეს და არ მაწუხებდენ გულცივი და უგრძნობო ხალხი თავიანთი ნახვით.

სალამოზე, ერთხელ ახალგაზრდა მოსამსახურე ქალმა შემოიტანა ჩემ ოთახში ლამაზა. მე ვთხოვე ლამაზა იატაკზე დაედგა,—ჩემი სავარძლის ახლო. მან შეასრულა ჩემი თხოვნა და უკანვე გაბრუნდა. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ ქერ-ზე ლამპის პირდაპირ კანკალებდა, თამაშობდა რაღაც წერტი-ლი. ფანჯრის იქით ქარს გუგუნე გაქონდა. მე მოთამაშე წე-რტილს გულმოდგინეთ შევცქეროდი, თანაც გონება მისუსტ-დებოდა და ქკუის დაკლებას ვგრძნობდი. უცბათ ლამპიდან ამოვარდა რაღაც მოშავო ბურთის მზგავსი, მიუახლოვდა ქერს, გაეხვია ბრწყინვალე წერტილების გროვაში და მერე ისევ ქერს მიეკრა. ამ ბურთის გამოხატულებამ ნელ-ნელა იწყო შეერთება, ერთ მთელეულათ გადაიქცა, და შიგ რაღაც პატარა პირისახიანი, მომანქულ-მოდრეცილი, შუბლზე რქე-ბიანი სურათი გამოიხატა. ეს იყო ეშმაკი, რომელიც მილი-მოდა, თანაც დამცინოდა და ლაპარაკი დამიწყო. რადგან მისი სიტყვა აზრიანი იყო, ამიტომ მე ყოველ მის მოცემულ კითხვაზე პასუხს ვაძლევდი და ასე ამნაირათ, ჩვენ შორის გაიმართა ტკბილი საუბარი. ავათმყოფი ხალხი სიბნელესა გრძნობს, როცა ფიქრს მიეცემა ხოლმე; ამიტომ ეშმაკმა ქერიდან დაიწყო ფილოსოფიური მსჯელობა და უნდოდა ჩემი სიბნელე როგორმე გაეფანტა, უნდოდა სინათლე შეეტა-ნა ჩემ სიბნელით მოცულ არსებაში.

— თქვენ ყველა ავათმყოფი ხალხი ხართ! — დაიწყო ქე-

რიდგან ლაპარაკი ეშმაკმა:— თქვენ, მამა თქვენი, დედა, ძმე-
ბი, დები, ნათესავები, ნაცნობები, თანამემამულეები...

მე ცივად შევეყურებდი ამ სურათს. ეშმაკი ჩამოყვდა ძაფს
ქერიდგან, ჩემ გულ-მკერდზე მოიკეცა, ხელები გულზე და-
მადო და ფილოსოფიური დაკვირვებით ლაპარაკი განა-
გრძო...

— ხედავთ, ქვეყნებზე სუყოფიერი შეიძლება მოხ-
დეს. წარმოიდგინეთ, არიან ქვეყნები ქეშმარიტების, სიმარ-
თლის და გენიოსურ აღმოჩენებისა, არიან აგრეთვე შესანიშ-
ნავ ტენორების და მოწყენილი რომანისტების ქვეყნები, არის
ქვეყანა რევგენებისა და ბრძენთა, თქვენი მხარე კი სუსტ
ხასიათის ხალხით არის სავსე...

მან სიტყვა აღარ დაათვა, შეშინდა. მე თვალს აღარ
ვაშორებდი. იმან შეითამაშა ჩემ საბანზე, ხელ-ახლა დაჯდა,
სამი თითი წინ გამოიწია და ლექციის კითხვა განაგრძო.

— აი, როგორი საქმეები ხდება დედა-მიწაზე. სუყოლი-
ფერ ამას მე მოგიყვები პარაბოლებით— იგავით. ვთქვით,
თქვენ გრწამთ ცა და ჯოჯოხეთი. ახლა გაიგონე, როცა პო-
ლონელების შექმნა მოინდომა ღმერთმა, თხისაგან ბევრი ფი-
გურები გააკეთა და მერე მზეზე დააწყო გასახმობლათ. მაშინ
კი ჩემი ბატონი, რომელიც მუდამ ცდილობდა გაეფუჭებინა
ყოვლის-შემძლე მეტოქის ქმნილებანი, მიეპარა და ზოგიერთ
ფიგურებში შესანიშნავი ცვლილებანი მოახდინა: გული ჩაღო
თავისქალაში, ტვინიკი გულის უჯრებში; ზოგიერთ ფიგურ-
რებს თავში ლურსმანი მიაჭლო; ზოგიერთს თავი მოაჭრა
და ჯიბეში ჩაუწყო.

მე რისხანეთ შევხედე ეშმაკს; იმან შეითამაშა ჩემ გულ-
ზე, ჩემ პირი-სახეს მიუახლოვდა, დაეყრდნო ჩემ ნიკაპზე და
ფუჩუნის მზგავსათ ჩამილაპარაკა და ეს დაცინვითი ფუჩუნის
მთელ სხეულში ისე მივლიდა, როგორც მარტის ჰაერი. გა-
იარა თუ არა ერთმა წამმა, დავინახე, რომ ქერიდან მოდიო-
დენ და მოდიონენ ეშმაკები. ისინი სხდებოდენ ჩემ ლოგინზე
და ისე ელაგებოდენ, რომ აუდიტორიას წარმოადგენდენ და
მოლაპარაკე ეშმაკი კი ნემსების პროფესორს. ეშმაკი ამბო-
ბდა:

— ასე და ასე, მე ვუბრუნდები პარაბოლას: გული თა-
თავის ქალაში, ტვინი გულის უჯრებში, თავები ჯიბეებში...
თქვენ ავთამყოფი ხალხი ხართ... დიახ, სწორეთ!.. აქ დიდი
გასამართავი არაფერია. შუა ზღვაში ცარიელ და მყვირალა
თავებს შორის არიან რამოდენიმე გონიერი კუნძულები, რო-
მლებიც ამ მღვრიე წყალს ზევით დაცურავენ. იმათ თვი-
თონ იციან, რომ აღრე თუ გვიან გაქრებიან და დარჩება
მხოლოდ მღვრია წყალი. აქედან აღორძინდება, იშვება თქვე-
ნი პესსიმიზმი, თქვენი საზოგადოებრივ-ფილოსოფიური რე-
ლიგია. ყური დამიგდე! აღმოჩნდებიან თუ არა დასავლეთ-
ში რომელიმე ახალი იდეები და მოგედებათ თუ არა თქვენც,
მაშინ თქვენ გრძნობთ, რომ ეს იდეები თქვენთვის და თქვე-
ნი საზოგადოებისათვის ზედ-მეტია და შეუთვისებელი. თქვენ
ხალხს რწამს სიბნელე და ჩაყურყუმალბებულია შიგ, მისთვის
საჭიროა ეს რწმენა, რომ თავისი არსებობა დაიცვას, მაგრამ
ამ სიბნელეში ცხოვრებით— ის დაილუპება არსებობისთვის ბრძო-
ლაში. დახლართულ-არეული საქმეებია, საიდანაც ვერ გამო-
გიყვანთ ვერც თქვენი პატრიოტები, მამულიშვილები, ვერც
თქვენი პუბლიცისტები, ვერც თქვენი ფილანტროპები! ირ-
გვლივ ზღვაა!.. გრწამს თუ არა რაიმე იდეა? მოინდომებ
თუ არა ამოცურდე, ფეხი შედგა ცხოვრების საზოგადოებრივ
თეორიების გარჩევაში— დედა გიგზავნის წყევლა-კრულვას,
მოინდომებ თუ არა გაანათლო სიბნელით მოცული ხალხი,
შენი დები ერთ აურ-ზაურს ატეხენ და სხვები ბევრი რამ

ამისთანები... რაღა დაგრჩენია?— გამრავლდე! ერთი მიიხარო
შენი ხალხი რას წარმოადგენს? ეს სამოსელში გახვეული ვე-
ლურებია! მუშა? დღეს საწყალი შიმშილს თანსქონებსაზწყეს,
ხვალ კი რა მოვლის, ვინ იცის!.. ინტელდგენსა? რწმენისა
ქრები, უბრალო მწერლები, აქტიორები, სამსახურიდან გა-
მოსული ხალხია... მიიხარით, ღვთის გულსთვის, სად არიან
თქვენი დაწყველილი იდეალები? მიიხარით-თუ რას ნიშნავს
ზღაპრები თქვენი ბებრებისა, დედებისა და ბაბუებისა? მიიხა-
რით, რას წარმოადგენს თქვენი ხალხი დასავლეთის კულ-
ტურულ ძლიერებასთან? რა ხართ თქვენ?.. რას წარმოად-
გენთ?!.. თქვენ ბაჭი-ბუქების, ბანკროტების, ნაცარქექიას...
სუსტხასიათის შათამავლობა?!

მისმა თვალებმა რაღაც აფორაჯებული ფერი მიიღეს,
პირისახე გაუყვიტლდა. ეშმაკი თანდათან იზრდებოდა, ჩემ-
კენ იწეოდა, გარშემო პატარ-პატარა ეშმაკები ისხდენ, იცი-
ნოდენ, ჩემკენ ხელს იშვერდენ, თამაშობდენ და რაღაცას
დამცინოდენ.

მე რაღაც გამოურკვეველი სიძულვილით შევეყურებდი
ამ მოშავო, მოთამაშე, დამცინარ ეშმაკების კრებას...

ჩემში სიცოცხლე ქრებოდა- უცბათ იატაკი გაიხსნა
შუაზე, ყოველიფერი შეჩერდა, ჩამოვარდა სიჩუმე და ამ სა-
შიშ მყუდროობის დროს ნელ-ნელი ნაბიჯით ამოვიდა დედა-
მიწიდან მოთეთრო, გაბრწყინებული ჩონჩხი ჩემი წინაპარი-
სა;— მომიახლოვდა მე, სავარძელზე ჩამოჯდა, აილო ჩემი გა-
ხუნებული ხელები, დაიწყო თავის გატიტვლებულ მკერდზე.
რომელიც თანდათან ზევით იწეოდა, და მქუხარე ხმით მიი-
ხრა:

— გრძნობ აქ.. გესმის... აქ კიდევ ცემს ძარღვი?!..
— დიახ! სწორეთ!.. იქ, იმ გატიტვლებულ მკერდში, იმ
ჩონჩხში მე ვატყობდი ძარღვის ცემას. ჩვენში კი, ჩვენ
ცოცხალთა შორის, ძარღვის ცემა უკვე შეწყვეტილიყო!..
მე ძლიერ ხმამალა დავიყვირე და გრძნობა დავკარგე.
როცა გონს მოვედი, დავინახე, რომ ჩემი ოთახი ლაპის ქვარ-
ტლით გავსილიყო, ვიღაცამ თავზე ხელი დამადო და ქალის
ხმა მომესმა:

— გაიტანეთ ეს ლამა აქედან და ფანჯარა გააღეთო!
რამდენიმე ხნის შემდეგ ცივმა ნიავმა დაქროლა და ეშმაკე-
ბის ხროვა გარეთ მიერეკებოდა, სადაც შემოდგომის ცივი
ნიავი ქროდა და ნაძენი ხმაურობდენ...

სვირ-სკანდელი.

ს. ი. ნაღსონიდან.

მთლად შენი არა ვარ— მე მეძახიან
სხვა ცხოვრება და იდეალები...
იცოდეთ, მათ ვერ დამაგმობინებს
შენი ალერსი, შენი ცრემლები.

შენს სიყვარულში როდის ვიწამე
ცხოვრების მიზნათ მე სიტკბობება!
არა, ჩემს გულში არ ჩამიხშვია
ქეშმარიტების მე მსახურება!

სულმოკლე ხელით არ მიმიმართავს
ნათესადგურისკენ მე ჩემი ნავი,
და მხნეთ მივცურავ მძინვარ ტალღებში—
ბრძოლასა ითხოვს წყვილია შავი.

სამშობლოს ქაზმე.

ერთობ ცუდი ბედი დაყვა ჩემს წლებანდელს მოგზაურობას. იძულებული ვარ ავიწიო სამშობლოს ცის ზევით, რომ როგორმე ავცდე ზოგიერთების მრისხანებას. წარსული კვირის მოგზაურობის გამო მე უკვე მივიღე პირველი გაფრთხილება და ვიგოვორი, ერთი ვაჟბატონი ერთგვარ „ვიზიტსაც“ კი დამპირებია. მახლას, რას იზამ, ნუ ამხელ უგუნურსა რამეთუ ფიცხელ არს გული მისი და ბნელ არს სამყარო თავისა მისისა, ნუ ახდი სარქველსა ტვინსა უგუნურისასა და ნუ ყოფ ცხად რაია მას შიგან. ნუ აწყენ გულსა უგუნურისასა, რამეთუ უფროს მხეცასა განძვირვარდების იგი. ნუ შეეხები ქეჩოსა უგუნურისასა, რამეთუ კეტი არს საფარველი მისი. ნუ აღძრავ ენას უგუნურისას, რამათუ ტალახსა შიგან შობილ არს და მორვეი გინების: არს სამფლობელო მისი. ნუ განეკარები ნურცა აგარაკსა მისსა, ნურცა პალტოსა მისსა, ნურცა ქუდსა მისსა, ნურცა ხვილოდუ მას წინა, არა უკან, და სდუმდეს ბაგე შენი წინაშე მისსა რამეთუ არა გიხსნას შენ ეტლმან ილია წინასწარმეტველისამან.

აი მცნებანი, რომელნიც იძულებული ვარ დავიმარხო გულში. და თუ ღღეის იქეთ ვრტყვი რასმე, ვიტყვი მხოლოდ სასიამოს.

* *

მაშ დავიწყეთ იქიდან რო „ღვინო ახარებს გულსა კაცი-სასა“, ამიტომ გირჩევთ ნაცნობთა და უცნობთ ჩაეწერნეთ თფილისის სიფხიზლის საზოგადოებაში, ვინაიღგან მას მართალია სიფხიზლისა ქვიანა მაგრამ ეს ხუმრობით დაურქმევიათ მისთვის. ნამდვილათ ის სიმთვრალის საზოგადოება ყოფილა, როგორც დაგვარწმუნა წარსული კვირის ხუთშაბათის კრებამ. აი ამ კრებაზე ერთი წევრთაგანი სიფხიზლის უსტავით ხელში ენა დაბმული და ფეხებ ადგმული მთელი ორი საათი ორატორობდა. ბევრი ეკადა კრება გაეგო თვისი წევრის გულის ნადები, ბევრსა ცდილობდა თვით ორატორიც გაეგებინებინა კრებისათვის რას უბრძანებდა მას ბახუსი, მარა ურჩობდა ენა, ურჩობდა გონება.

მომავალ კრებაზე სურთ აღძრან ლაპარაკი და შეცვალონ საზოგადოების სახელწოდება.

ახალი სახელის გამოგონება მიუნდვიანთ იმავე წევრისთვის, რადკან მან ნათლათ დაანახვა სიფხიზლის საზოგადოებას სახელის შეუფერებლობა.

* *

ბახუსს ყველაფერი მიეტყვება, მაგრამ არ მიეტყვება იუპიტერს, რომ ქუჩა-ქუჩა იაროს მოწყალების სათხოვნელათ. ღმერთები ახლა სხვაგან აღარსად არიან, გარდა „ცნ. ფურც.“-ს რედაქციისა და აი ერთს მათ ცეცხლთა მფრქვევთაგანს ჩამოუვლია ნაცნობებში, —გამაგებინეთ რასა წერს „ყვირილელი“: „რამდენჯერმე გადავიკითხეთ ყვირილელის წერილი, სხვასაც, რედაქციის გარეშე პირებსაც შევეკითხეთ და როცა დავრწმუნდით, რომ მარტო ჩვენ არ გავვიგია ასე მისი წერილი, გაზეთშიაც გამოვაცხადეთ“, წერს „ცნ. ფურცელი“ 2130 №-ში. ჩვენ სრულებითაც არ გვინდოდა და არც გვქონდა განზრახვა ასეთი ტანჯვა მიგვეყენებინა „ცნობის ფურცლისთვის“. აბა თქვენ წარმოიდგინეთ, „ცნობის ფურცლის“ რედაქცია „ყვირილელის“ წერილით ხელში ქუჩა-ქუჩა მოსიარულე. წარმოიდგინეთ და დამერწმუნებით, რომ მართლა ცოდვა ჩაგვიდენია. ვვიწვალებია რედაქცია და შეგვიწუხებ-

ბია მისი ნაცნობნიც. ხოლო საშუალება კი კარგი აღმოუჩენია პატივცემულ გაზეთს: „ნაცნობების“ დაკითხვა „უცნობის აზრის გასაგებათ და „ნაცნობთა“ დასტურებისთვის აზრის გასაბათილებლათ.

კაია შენმა მზემ!

* *

„ივერიას“ ქართველი პატრიოტები კომინიოვშიაც აღმოუჩენია. „გაისმა საზარელი ვაშა-ვაშას ყვირილი და ხალხი“ მიესია ებრაელებსო. გესმით, „ურას“ კი არა ყვიროდენ თურმე, „ვაშა-ვაშას“ ძახილით მიესიენ! „ვაშა-ვაშათი“ არ ესევიან, დილო ბატონო „ივერია“, არც „ურა“ ითარგმნება „ვაშა-ვაშათ“. შეიძლება კაცი პატრიოტი იყოს, ხოლო ლექსიკონის გაპატრიოტება ყოვლად შეუძლებელია. „ივერიისთვის“ კი ესეც შესაძლებელი ყოფილა!

რიგოლეთო.

ქურნალ გაზეთებიდან

„რუს. ბოგ.“-ს უკანასკნელს ნომერში მოთავსებულია წერილი პროფ. კარიშევსისა, რომელშიაც ავტორი გვიხატავს, რა პირობებში ხდება რუსეთში გლეხების სამუშაოთ გასვლა. რიცხვი იმ გლეხებისა, რომლებსაც თავისი მიწა მეტად მცირე აქვთ და რომლებიც სხვაგან მიდიან სამუშაოთ, თანდათან იზრდება. რომ ახლა მათი რიცხვი მილიონობით ითვლება, ეს ცხადია, მაგრამ ჯერ სტატისტიკას სწორე ცნობები არა აქვს ამ კითხვის შესახებ. ჯერ კიდევ მე-20-ე წლების დასაწყისში მარტო 3 გუბერნიიდან (კიევის, პოდოლის და ხარკოვისა) წელიწადში 400 ათასამდე კაცი გადიოდა. ამავ დროს, შიმშილობის შემდეგ, მარტო ვორონეჟის გუბერნიიდან სამუშაოთ გასულა 1/2 მილ. გლეხი.

რა პირობებში ხდება სამუშაოდ გასვლა?

უმეტესი ნაწილი გლეხებისა ფეხით მიდის სამუშაოს საძებნათ, რადგანაც ბილეთის ფული არა აქვს, რომ რკინის გზით წავიდეს. ხერსონის გუბ. ფეხით მოსულა 70% სამუშაოს მძებარ გლეხებისა. სამარის გუბ. 68% მოსულა ფეხით და „პოდვოდით“. პოკროვის სლობოდაში —ვოლგაზე— 70% —ფეხით. სიმბირსკის გუბ.—90,4% ფეხით და „პოდვოდით“. სულყველგან ამ ადგილებში რკინის გზა არის გაყვანილი, მაგრამ, ჩანს, გლეხებს არაფერი წილი არ უდევთ რკინის გზის გაყვანაში, რომ ფეხით მოგზაურობენ!

დანარჩენი მცირე ნაწილი გლეხებისა სამუშაოს საძებნათ მიდის გემებით, ნავებით, ტივებით და სულ მცირე ნაწილი კი —რკინის გზით. მაგრამ ვაი ამ მოგზაურობას! აი როგორ აგვიწერს ამ საქმის მკვლევარი გლეხების გემით მოგზაურობას: „გემზე იმდენს გლეხებს მოათავსებენ ხოლმე, რომ დალაღულ-დაქანცული, მშიერ-მწყურვალე გლეხები პირდაპირ ერთიერთმანეთს ასხედან. ზოგ გემზე იმდენ გლეხს ამუშვებენ, რამდენიც დაეტევა დადგომიჯა, ისე რომ გულების მოხსნაც არ შეუძლიათ მხრებიდან, ვიდრე დანიშნულ ალაგას არ მივლენ“. არც რკინის გზით მოგზაურობაა უკეთესათ დაყენებული. აი აქ რა ხდება: „მეოთხე ღამეა, რაც გლეხები გზაში არიან. ვაგონის კარები მაგრა ჩაკეტილია. ყველას სძინავთ. ზოგი იატაკზე დაწოლილა, სადაც ღღისით აფურთხებდენ და გინ იცის რას არა ღვრიდენ. ...ზოგი სკამის ქვეშ შემძვრალა: ეს უკანასკნელნი ყველაზე ბედნიერნი არიან: წიხლს მიანც არავინ წაპკრავს. ჰაერი მხოლოდ ერთი

ბეწვა სარკმლიდან იწმინდება. საშინელი ბული ტრიალებს. სული ეგუთება, თავი გისკდება. სადგურზე მესამე კლასის ზალაში არ უშვებენ ამ გლეხებს, მეოთხე კლასის ზალა კი არსად არის.

გზაში გლეხები საძაგლათ იკვებებიან. სამარის გუბ. თავისი პური ჰქონდა 27%, ფული ქონდა—18,3%, 14% იკვებებოდა „ქრისტეს სახელით“. პოკროვსკის სლობოდაში 38% მოწყალებით ირჩენდა თავს. სიმბირსკის გუბ. მხოლოდ 1% ქონდა ცხელი საქმელი, 13%-ს კი სულ არაფერი ქონდა.

ბევრი გლეხი სამუშაოს ვერ შოულობს და რომლებიც შოულობენ, იმათი მდგომარეობა საშინელია. როგორც ექიმის პაშკოვსკის ცნობებიდან ჩანს, ხერსონის გუბ., ალექსანდრიის მაზრაში ხშირათ მოსულ მუშებისათვის „ეკონომიებში“ შენობები არც კი აქვთ. ზოგს „ეკონომიაში“ რამდენიმე ათეული და რამდენიმე ასეული მუშა არის დაქირავებული და თავშესაფარი შენობა კი არა აქვთ. ზოგჯერ მუშებს მიწურ ქონებში მოათავსებენ ხოლმე. „იკვებებიან მხოლოდ მცენარეულობით... ხორცი, რძე, ყველი და სხვა სახსნილო საწვავე მუშებს მხოლოდ დღესასწაულებში ეღირსებათ ხოლმე“. საქმელი ძალიან ცოტა მარგებლობის შეიცავს. ასეთ ცუდ პირობების გამო მოსულ მუშებში ძალიან გავრცელებულია სხვადასხვა ავითმყოფობანი: ციება, თვალის ტკივილი, საქმლის სახარში ორგანოების სატკივარი და სხ. ძალიან ედებათ მოსულ მუშებს სიფილისი და ტუბერკულოზი. დამტკიცებულია, რომ ყველა ეს ავითმყოფობა მოსულ მუშებს უფრო ედებათ, ვიდრე ადგილობრივ მცხოვრებლებს (სამარის გუბ. ავით ხდება მოსულ მუშების 24,7%, იქაურ მუშებისა კი 10,4%).

„თუმცა ჩვენ ძალიან ცოტა ცნობები გვაქვს ხელთ მუშა გლეხების შესახებო, — ამბობს კარიშევი, — მაგრამ ყველა ეს ცნობები ერთს და იგივეს ლაღადებენ; საჭიროა ჩავუფიქრდეთ ამ ცნობებს. არსებობს საფაბრიკო კანონმდებლობა, რომელიც იცავს ქალების და ბავშვების შრომას... და სასოფლო მეურნეობაში კი არაფერი მაგნიანი არ არსებობს... განა საჭირო არ არის სასოფლო მეურნეობისათვის სპეციალური კანონმდებლობა, საფაბრიკო კანონმდებლობის მაგვარი, რომელიც უნდა საზღვრავდეს სამუშაო დროს, აუზღობესებდეს მუშა ქალებისა და ბავშვების მდგომარეობას და მუშების სანიტარულ მდგომარეობას? — ამ კითხვებზე ორი პასუხი შეუძლებელია. თუმცა სხვა კითხვა — რამდენათ შეგვიძლია ამ კითხვების გადაჭრას მივუახლოვდეთ. ამ კითხვების გადაჭრა ბევრ ფაქტორებზე არის დამოკიდებული“. — ოლონდაც!



სამთო ინჟინერი ფონ-დიტმარი გაზეთ „იუნენი კრაი“-ში არჩევს ფინანსთა სამინისტროს მიერ კანონისა და წესის ახლათ შედგენილ პროექტს, რომელიც ავალებს მრეწველ მწარმოებლებს პასუხი აგონ მუშის დაშავებისა და სიკვდილისა გამო ფაბრიკასა და ქარხნებში მუშაობის დროს. აეტორი განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს იმ მუხლებს, რომლებითაც განსაზღვრულია მწარმოებლის ნივთიერი პასუხის გება. სამინისტროს პროექტით ეს პასუხისგება ეკისრება მხოლოდ მწარმოებელს, რომლის ფაბრიკასა ან ქარხანაში გაუბედურდა მუშა. საზღაურის რაოდენობა ასეა განაწილებული პროექტში: 1) თუ მუშა ფაბრიკა-ქარხანაში დაშავდა და მოკვდა, ოჯახს უნდა მიეცეს პატრონ-მწარმოებლისაგან 60% იმ სამუშაო ფასისა, რომელიც მუშას ჰქონდა; 2) თუ მუშა იმდენ

ნათ დასახიზრდა, რომ მუშაობა სრულიად აღარ შეუძლია, მაშინ უნდა მიეცეს 2/3; 3) თუ იმდენათ დასახიზრდა, რომ მუშაობა მცირე და შეუძლიან, უნდა მიეცეს 1/3; 4) თუ მუშას დაზარალებულად მუშაობა, პატრონისაგან ეძლევა სამუშაო ფასის ნახევარი. ხსენებულს აეტორს არ მოსწონს ახალი პროექტი. თავდაპირველად ის აღნიშნავს შემდეგს:

ახლის პროექტით, მწარმოებელი, რომელთაც 15-ზე ნაკლები მუშა უავთ, ზასუხის გების კანონს არ ემორჩილებიან. მაშ გინ უნდა დააყუთოფიფოს დაშავებული მუშა ან გინ უნდა უზრუნველყოფს მამკვადრ მუშის ოჯახი? არაგინ. ზატარა ქარხნების მუშებს კანონი არ იცავს. იმის გარდა, რომ ეს უსამართლობაა, ახალი წესი ბრტმტმქმედებასაც სშირად გამოიწვევს: მწარმოებელი ეცდებიან უაყეღთვის დამაღონ ნამდვილი რიცხვი თავის მუშებისა და 15-ზე ნაკლები უჩვენონ ადმინისტრაციას.

აეტორს არც ის მოსწონს, რომ ნივთიერი პასუხისგება მარტო მრეწველთ აქვს დაკისრებული: იგი, როგორც სხვა კრიტიკოსები ამ პროექტისა, უპირატესობას აძლევს მუშების სახელმწიფო დაზღვევას.

საჭიროა, სწეს ფონ-დიტმარი, მრეწველების ხარჯითა და სახელმწიფოს დახმარებით დაარსდეს ყველა ქარხანა-ფაბრიკაში კასები რომლებიდანაც უნდა ეძლიათ დაშავებულ მუშებს ან დაზარებულ ოჯახებს განსაზღვრული საზღაური. მრეწველობაში უბედური შემთხვევა, საუბედურთ, ძნელი ასაცდენია; სშირათ უბედური შემთხვევა არც მუშის ბრალია, არც თვითონ მრეწველ კაპიტალისტისა, არამედ შედეგა თვით სამრეწველო საქმისა, მის ტექნიკურ, კომერციულ, ადმინისტრაციულ და სხვა ბევრ ზიანებისა. ამიტომ უფრო სამართლიანი იქნება, ზასუხის გება სახელმწიფომაც იკისროს და მთელმა მრეწველობამ; ერთ სამრეწველო დარგის მრეწველებმა ან ერთ რაიონის მწარმოებლებმა დაიარსონ ზემოხსენებული კასები და ურთაერთ თავადებობით ზასუხი აგონ უბედურ შემთხვევათაგან დაზარალებულ მუშათა ან მათ ოჯახთა დასაჯიდლებათ.



ჟურნალ „რუსკ. ბოგ“-ს მარტის ნომერში „შინაურ ქრონიკაში“ ვკითხულობთ:

რადგანაც საქალაქო პოლიციის გაძლიერებამ გამოიწვია აგრეთვე ქალაქების ხარჯის მომატება, რომელიც მძიმე ტვირთათ აწვება ქალაქის ბიუჯეტს, ამიტომ რამდენიმე ქალაქის საბჭომ ითხოვა პოლიციისთვის საჭირო ხარჯიდან განთავისუფლება. საეჭვო კი არის შეწყენარებულ იქმნას მათი თხოვნა; ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ქალაქ კიევს ზემოხსენებულ თხოვნაზე უკვე ორჯელ მოუვიდა უარი.

ქალაქებმა, რომელთაც ითხოვეს საპოლიციო ხარჯიდან განთავისუფლება, გარდა იმისა, რომ თხოვნის შესაწყენარებელ საბუთათ მოყვანდათ ხარჯის სიმძიმე, აგრეთვე იმისაც იხსენიებდენ, რომ პოლიცია არ არის მხოლოდ ქალაქისათვის, არამედ მისი დანიშნულებაა საზოგადო სახელმწიფო ინტერესების დაცვა, ხოლო თვით მცხოვრებლების ინტერესები კი მათთვის მეორე ადგილზეა დაყენებულიო. მათი მოქმედება და შენედილებაც თავის საზსახურზე მდგომარეობს ნედლიმკების და ხარჯის აკრეფაში, სახემწიფოს წეს-რიგის დაცვაში. თუ შეასრულეს მათ ეს პირობანი, ხომ კარგი, თუ არა და ისჯებიან, ხოლო რაც შეეხება მცხოვრებთა პიროვნების დაცვას და მათის ქონებისას, ამისათვის კი მაგდენათ არც ისენი იტკივებენ თავს და არც არაგინ აქებენ

და არცა სჯიან ცუდათ შეასრულებენ ამ მოვალეობას თუ კარგათ აი სწორეთ ასეთი მოხსენება წარადგინა ირკუტსკის მართველობამ საბჭოში და მგონი ბევრი სხვა ქალაქიც იქნება ამისი მომხრეო, დასძენს ჟურნალი. შემდეგ მოყავს თვალსაჩინო ფაქტები, ზემორე ნათქვამის დასასაბუთებლათ.

უფრო კი ყოველ ამას თვალსაჩინოთა ყოფს ქ. კრონშტადტის პოლიცემისტერის შაფროვის მოქმედება, რომელიც ირჩეოდა სასამართლოში ამ წლის იანვარში და თებერვალში. ამ გმირის შესახებ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან ზოგიერთი რამ, მაგრამ მეტი არ იქნება კიდევ და უფრო დაწვრილებით გავახსენოთ მას. ეს იქნება ნამდვილი ილლიუსტრაცია მცხოვრებთა მდგომარეობისა.

გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ შაფროვის სამსახური არც წინეთ ყოფილა უმწიკვლო. მას სამსახური დაუწყია ქ. მოსკოვში 1887 წელს ჯერ ბოქაულის თანაშემწეთ, მერე ბოქაულათ და 1892 წელს კი დაუთხოვნიათ სამსახურიდან მექრთა შეოპისათვის, როგორც უთქვამს კერძო ლაპარაკში მოსკოვის ობერ-პოლიცემისტერს ვლასოვსკის, ხოლო ოფიციალურ ატტესტაციოში კი, რომელიც შაფროვისთვის მიუცია, ეს არა ყოფილა აღნიშნული. ამიტომ მას ხელახლა მოუხერხებია სამსახურში შესვლა. 1892 წლის 9 აპრილს ის დაუთხოვნიათ, და ამავე წლის 17 სექტემბერს კი ის მიუღიათ პეტერბურგის პოლიციაში ბოქაულის უფროს თანაშემწეთ. 1894 წელს ის აქედანაც დაუთხოვნიათ სამსახურიდან იმავე მექრთამეობისთვის. თუმცა ახლაც მიზეზი მისი დათხოვნისა კანცელარიის საიდუმლოთ დარჩომილა და მისთვის მიუციათ ნება შეეტანა თხოვნა სამსახურიდან განთავისუფლებასზე „ოჯახურ ვარემოებათა გამო“. ეს საიდუმლო არც შემდეგში გამოამჟღავნეს: როდესაც შაფროვმა ითხოვა კრონშტადტის პოლიცემისტერობა. სამხედრო გუბერნატორი კრონშტადტი-დამ შეეკითხა შაფროვის შესახებ პეტერბურგის პოლიციას. პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა მის შეკითხვას დაწერა: „მიეცეს პასუხი ყრუთ“. და მისცეს კიდევ: „შაფროვი დათხოვნილია ოჯახურ ვარემოებათა გამო“. ასე და ამგვართ შაფროვის სამსახურის ავ-კარგი გამოჩნდა მხოლოდ სასამართლოში ამ წელს, თუმცა კი ეს წინათვე იცოდა მისმა მთავრობამ. შაფროვი ლოქოსავით წყალში გადაადგეს, მისცეს კრონშტადტის პოლიცემისტერობა. აბა აქ გაუსვა მან თავისი გაუმაძღარი კლანჭები, მით უმეტეს, რომ უფლებაც შესწევდა ამისთვის. მისმა მოქმედებამ გამოაწვია მრავალი საჩივარი მცხოვრებთაგან მთავრობასთან: მიხაწი თვით მინისტრამდე, მაგრამ ყოველივე გამოძიება ჩაიფარება. და რომ მხოლოს პროკურორს არ გამოეღო თავი, დღეს იქნება შაფროვი არესტანტის გამასწორებელროუაში კი არ იქნებოდა, არამედ ისევ კრონშტადტში მცხოვრებთა სისხლის საწოვათ. აი მისი ნამოქმედარი ამ ქალაქში, რომელიც გამოძიებამ აღმოაჩინა: ის ყიდდა ბოქაულის ადგილებს, ვინც სამსახურში იყო, მათ ხარჯი დაადეა თავის სასარგებლოთ ერთგვარი საშუალებით, ვითომც სესხულობდა. ფულის ხარკს ნატურალური ხარკიც ემატებოდა. ბრანდმეისტერი უსასყიდლოთ უგზავნიდა მას ქათმებს, ინდოურებს, ცხვარს, ყიდულობდა მისთვის ცხენის სართავს და სხვ. ფული, რომელიც შემოდრიოდა პოლიციელთა ტანისამოსისათვის, ან საჩუქრათ, ჩადრიოდა შაფროვის ჯიბეში. ახლათ მიღებულ გოროდოვებს ართმევდა „ზალოგს“, და აღარ უბრუნებდა უკან. ჯარიმას, რომელსაც დამნაშავეთაგან ფულათა კრეფდა ითვისებდა, ამუშავებდა გოროდოვებს იმ საქმეზე, რომელიც

მათ სამსახურში არ შედიოდა, ამრავლებდა საროკიპოო სახლებს და, როგორც ერთმა ამგვარი სახლის პატრონმა მათთან რა სასამართლოში, ისე უფლიდა მათ, „როგორც მათ შვილებს“. რასაკვირველია ისევ ქანქარის გულისათვის... ამავე დროს სიფხიზლის საზოგადოებას კი, „როგორც ბოროტის მთესავს“ სდევნიდა. სახელმწიფო ფულებს განაგებდა თავის საკუთრებათ. ქალაქის მართველობას გაუჭირა საქმე სხვადასხვა მიზეზებით ფულის დასატყუებლათ და სხვა და სხვა. ერთი სიტყვით მთელი ტომი დაიწვრება ამ გმირის მოქმედებიდან.

ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი თ. სახოკიასი პარიუში გამოცემული: Les proverbes Géorgiens — „ქართული ანდაზები“. — (Extrait de la Revue des traditions Populaires). წიგნი სუფთათ და კონტათ არის გამოცემული, როგორც საზოგადოთ ფრანგული გამოცემებია, და შეიცავს 34 გვერდს.

წერილიანი ჩაღაძინის მიმართ.

ბატონო რედაქტორო! უმარჩილესად გთხოვთ თქვენს ზატეგ ცემულ გაზეთ „კვალში“ მტირედი ადგილი დაუთმოთ შემდეგ შენიშვნას: აკერ ორ თვეზედ მეტია მას აქეთ რაც ბბ. ს. ყ. ბაქრაძის ი. დოდგობეძის და ე. ნანუიშვილის თახსნობით ფულები შეკრეგეს და სამტრედიასი დასახმარებლათ ჩვენი სსსიქადულე არტისტის ვლ. ა. მესხიშვილის ფული დასხდგობით უნდა ეოფიდიო რდღა ექვს მანეთამდე. როგორც მესმის, ის ფულები გადაუციათ ბ. ბაქრაძისათვის გასაგზავნათ სდაც ჯერ იყო, და იმ ფულების მიღება დანიშნულებისამებრ თუ არ ვსცდები ჩვენს ქართულ გაზეთებში არ მინახავს და რუსულში თუ იყო მხსენებულა, ვსთხვო გვამნან.

ნ. ტურისთაველი.

ბ-ნო რედაქტორო! უმარჩილესათ გთხოვთ ნება გვებოძოთ თქვენი გაზეთ „კვალის“ სსშეალებით უდრმესი მადლობა გამოგუხსნათ გაზეთ „ივერის“ რედაქციას, რომელმაც ეს სსმა წელიწადია თავის გამცემმა გაზეთ „ივერია“ დაგვითმო.

თფ. საბალ. სკ. მოწათეების მონდობილობით ნოე მეკლაძე ანტონ ჩხეიძე, იას. ჯანდიერიშვილი.

მწიქალეო ხელმწიფეო, ბატონო რედაქტორო!

„Новое Обозрѣніе“-ს № 6324 დაბეჭდილია გ. ზდანოვიჩის წერალი ბ. გ. ემერეის ზასუხათ. გ. ზდანოვიჩი თავის წერალიში ბრძანებს: Не курьезно ли, въ самомъ дѣлѣ, увѣрять членовъ общества „Шави-ква“, какъ дѣлають названныя сердобольныя люди, что Здановичъ надѣлъ на нихъ петлю когда сами члены общества этой самой петли не чувствуютъ... (არააზნა, ამის მაგალითს მკავსენებთ: „Новое Обозрѣніе“-ს № 6324 დაბეჭდილია გ. ზდანოვიჩის წერალი ბ. გ. ემერეის ზასუხათ. გ. ზდანოვიჩი თავის წერალიში ბრძანებს: Не курьезно ли, въ самомъ дѣлѣ, увѣрять членовъ общества „Шави-ква“, какъ дѣлають названныя сердобольныя люди, что Здановичъ надѣлъ на нихъ петлю когда сами члены общества этой самой петли не чувствуютъ...)

გ. ზდანოვიჩი განკებ სტუფა. კარგათ იცის რომ „შავიქვის“ წევრებს მაგრათ წაუჭინა დღეღერჭი კისერში და ამ დღეღერჭის თავი კი თითნ ბ. გ. ზდანოვიჩის უკავია ხელში, რათა შემთხვევის დროს, თუ საჭირო იქნება, და უჩნობას რომელიმე წევრი გაბედავს, კიდევ დაადრჩოს. რომ გ. ზდანოვიჩის „შავიქვის“ წევრები მადლიერად არ არიან, ამის მაგალითს მკავსენებთ:

წასულ წათურის შავიქვის მრეწველთა კრებაზედ ერთი საჭირო საქმე მქანდა... ამის გამო ერთ ჩემ ნაცნობს გამოგართვი ვეჭილეობა... ეს ჩემი ნაცნობი N შავიქვის მრეწველია და წევრის „შავიქვის“ ამხსნეობისა, ვეჭილეობა გადმომცა და მითხრა: თუ

დმერთი გწამს, ზღანოგინის წინააღმდეგ არ წახვიდე, თვალნაცხად-
ბათ—შეც დამღუპავ და შენ საქმესაც ვერ გააკეთებ. საბჭო, საზო-
გადო კრება—უგულეფერი ეს ზღანოგინია და ამიტომაც თუ გსურს
საქმის გაკეთება, ზღანოგინის სურვილს ძალაუბრებურად დამორჩილდე...

გამოცხადდი ჰირველ დღეს კრებაზე. ვუფერე მეორე, მესამე
დღეს და დაფრწუნდი, რომ ზღანოგინის შესახებ რაც ტული გამე-
გნას, უგულაფერი მართალი უფთილიყო.

გულმა აღარ მომიტოვინა და როდესაც ზღანოგინის მოქმედება
საზღვარს გადასცდა, მეც ორიდღე სიტყვა წამომცდა... ზღანოგინის
პარტიამ იმ დღესვე ჩამწერა „ოპონიონში“ და ჩემ ნაცნობ N
წერილი მისწერეს, რომ ჩემთვის ვეჭვობა მკაცრად და მათთვის გა-
დაცვით, რასაკვირველია, მათი თხოვნა უფურცლდებოთ დასტოვა და შე-
დებეშით ჭიათურაშიდ დამიბარა. დიდი სუფიერით მითხრა, რომ თა-
ვი ვერ შევიკავე და თანაც დამეუჭრა—„თუ ასე საუკვოთ მოიტყვეო,
იძულებული გავხდები ვეჭვობა მოგისწო“...

ჩამოვუღე ქუთაისში, მაგრამ წამხდარი საქმე ვეღარ გავაგეთ,
თუმცა სუფიერას ვარწმუნებდი, რომ შე ზღანოგინის მომხრე ვარ-
შეთქი. ზღანოგინის მომხრეებმა ხელახლა მისწერეს წერილი ჩემ ნაც-
ნობ N. ამის შემდეგ მივიღე შემდეგი შინაარსის წერილი: „ძმა...
... რაც შეეხება გადმოცემულ კენჭს, ის შენია. მხოლოდ გიორ-
გი ზღანოგინი ნახე და უთხარი: მე შენს მონდობილი, რომ თქვენ
უნდა მოგცეთ თეთრი კენჭითქვა, თუ გინდათ კენჭის ურის დრას
კენჭს გადმოცემითქა...“ შენი...“

ზღანოგინთან მიველ და ისე გაკვრით ველახარაკე - ვარძინობინე
ვითამ, რომ მე მისი მომხრე ვარ. წერილის შინაარსი არ გადამიცია.
ამავე წერილზედ მეორე გვერდზედ წერას:
ძმა...“

კარხეს (მოღებამეს), სიმონს (ჭვარანს), სემონს (ფიცხლავას)
უთხარი თუ ვის უნდა ჩაუგდო ჩემი კენჭი.
შენი...“

ამის შემდეგ ძალიან ფრთხილად ვიყავი მაგრამ, რკინის გული
უნდა ჰქონოდა კენჭს ზღანოგინის მიერ ჩადენილ სისამკლეს რომ
არ აეღლებინა. ამიტომაც აქა-იქ კიდე წამომცდებოდა ხელზე ზღანო-
გინისთვის არა სისამკლეს სიტყვები. ერთჯერ ემერკთან ოთახში ვი-
ყავი, როცა გამოვდიოდი მაშინ თვალი მომსწერეს და ამან მთლად
წამხდინა საქმე. ეს იყო კენჭის ურის წინეთ სადამოს... მეორე დღეს
კენჭის ურს იყო და მეც სხვათაშორის დამიბარეს და კენჭი ჩავაგდე,
რასაკვირველია, ზღანოგინის შავი მივედი. ეს თითქმის უგულამ შემნიშნა.

გათავდა არჩევნები ჩემ ნაცნობ N ეტაკენ კისერში და სამაგიე-
რას გადახდას შეზიდნენ... მე კი ჩემმა ნაცნობმა N ასეთი შინაარ-
სის წერილი მომწერა:
„ძმა...“

„ისე გენდობოდი, როგორც დმერთს... კარგი „სიურპრიზი“
რომ გამოგეთ, დამეთანხმები და ვინ იცის, რა დამიჯდება. უგულაფერს
მალე გაიკებ და მეც გაწინება. ხომ იცი ჩემი სული ხელში აქვს?
არ უნდა გქნას ჩემი სიუვარულისათვის...“
შენი...“

დ. ჭიათურა ნ თებერვალი.
მეტე. მგანი, საჭირა აღარ არი. კარგათა სჩანს ზღანოგინის
სიტყვების სიმართლე, რადგან რედაქციაში ჩემი ნაცნობი N წერილე-
ბის სიმართლის დასამტკიცებლათ*).

მრეწველი.
რედაქციამ მიიღო ხსენებული წერილები. რედ.
დრ. რედ. ნ. იაკ. ალექსიევი-მესხიევი.
გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

„კ ვ ა ლ ი“

(წელიწადი მეთერთმეტე)

გამოვა 1903 წელსაც ყოველ კვირა დღეს 1—3 თაბახმდე.
გაზეთი წლიურათ ღირს თფილისში 7 მან, თფილისს გარეთ
8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ
4 მან., ხოლო სპი თვით 2 მან. თითო ნომერი სამ შაურათ.
ადრესის გამოცვლა თფილისს გარეთ ღირს ორ აბახათ.

ხელისმომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-ნაწილათაც
შემოიტანონ.

ხელისმწერს მიიღება: თფილისში,—წერა-კითხვის საზოგა-
დობის კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავადაზნაურობის ქარვასლა),
რკინის გზის სადგურზე, ჰირველ კლასის ბუფეტში, ესტ. ჩხარტი-
შვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში.

ქუთაისში: მიტროფანე ჯაღიძესთან, გ. ბუკანეიშვილის წიგნის
მადახიაში და ქუთ. გამომცემელ ამხანაგობის კიოსკოში; ბათუმში—
სმირიდონ ჭვლიძის წიგნის მადახიაში; ოზურგეთში და ახალსე-
ნაკში—კ. თავართქილაძის წიგნის მადახიებში; ჭიათურაში—კალი-
სტრატე ჭიჭინაძესთან და გვარსივე ბერიძესთან; ყვრილასში—
ივანე არდიშვილთან; დაბა ხანში—სახალხო სამკითხველთაში; ძველ-
სენაკში—ანსენ წითლიძესთან; ოზურგეთში—დომენტი შავიშვილ-
თან; საბუნჩაში—დიმიტრი მელაძესთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция „КВАЛИ“.

ტფილისის კერძო სამკურნალო მუსხელაშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 ავკა-
ლის ქუჩის დასაწყისში

ბელეფონი № 274.

ავათმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

- 3. ი. ზიზინაძე — კბილის სნეულეზანი, 8—10 საათდღე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
- 5. ტ. მულინი — ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.
- 3. დ. ლაგაზიძე — ორზ., ოთხზ., და შაბათ, 10—11.
- 3. 3. მალალაშვილი — შინაგან. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 10—11 ს.
- კამოვი — საშარდეს (ხორუგიული) ავათმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 სათ. 11—მღის.
- ი. პ. ახალაშვილი — კბილის სნეულეზანი 10—11 საათ.
- დ. ა. გელაშვილი — შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.
- ა. მუსხელაშვილი — თვალის ავათმყოფობა — ორზ. ხუთზ. და შაბ. 11¹/₂—12¹/₂.
- 3. 3. მანსვეტოვი — შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა — კვირაობით 10—12 ს.
- 3. 3. სოპოლევსკი — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.
- 3. 3. ამბარდანი — ათაშავისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

ს ა ლ ა მ ო თ ი:

ა. 3. მალალაშვილი — შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათდღე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)
მუღმივი ეპიმი 3. დ. ნასარაძე
მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—9 ს.
რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანათამდე.
(წ.)
ტელეფონი № 617